პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი პირველი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქ. რევკომის
ორგანო

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა უქმეებისა დილ. 10-[illegible]

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 19 საერთო №

№ 228 კვირა, 4 დეკემბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი კვირა, 4 დეკემბერი, 1921 წ. № 228

4 დეკემბერი
კვირა

1917. მინსკში გაიხსნა დასავლეთის ფრონტის არმიის ყრილობა. დაესწრო 633 დელეგატი, მათგან 407 ბოლშევიკური, 193—უპარტიო, 74—ეშ. ს.-რ. მიიღეს რეზოლიუცია დასავლეთის ფრონტის საბ. კომისართა საბჭოს ორგანიზაციის შესახებ. დასავლეთის ფრონტის მთავარსარდლად აირჩიეს პრაპორშჩიკი მიასნიკოვი (ბოლშევიკი).

დაიწყო არჩევნები თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოში

თბილისის საბჭო მედგრად და გადაუხვევლათ უნდა იდგეს პროლეტარული რევოლიუციის სადარაჯოზე. მან უნდა გაატაროს თბილისის მუშების კავშირი სოფლის გლეხკაცობასთან. ის უნდა შეიქნეს მებაირახტრეთ ერთა სოლიდარობისა, ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის და რუსეთის საბჭოთა ფედერაციასთან განუყრელი ძმური კავშირის. მან უნდა აალორძინოს და მოაწესრიგოს ქალაქის მეურნეობა. ის უნდა შეიქნეს ერთ ძლიერ იარაღათ ჩვენი არმიისა და ფლოტის გაზრდა-გამაგრებაში. პროფკავშირებთან ერთათ მან უნდა იზრუნოს მშრომელთა ყოველდღიური ცხოვრების გაუმჯობესებაზე. მან უნდა მიიღოს ზომები თბილისის სასურსათო მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ. მან უნდა გააუმჯობესოს სკოლის საქმე, ქალაქის სანიტარული მდგომარეობა. ის უნდა შეიქნეს ჩვენი ქალაქის და მის მშრომელთა დიქტატურის ციხე-სიმაგრეთ. ის ღირსეულათ შეასრულებს თავის დანიშნულებას მხოლოთ იმ შემთხვევაში, თუ მისი შემადგენლობა იქნება კომუნისტური.

თბილისის მუშებო და ჯარის-კაცებო! ხმა მიეცით მხოლოთ ჩვენი პარტიის კანდიდატებს!

აირჩიეთ საბჭოში კომუნისტები!

ორშაბათს, 5 დეკემბერს 1921 წ. საღამოს 6 საათზე
პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში (მუშათა სასახლე 1-ლი სართული) შესდგება

ს. პ. პ. ს. პლენუმის გაფართოვებული სხდომა კავშირების ცენტრალურ გამგეობებთან ფაბქარ-კომებთან და ადკომებთან ერთად.

დღის წეს-რიგი:

1. მოხსენება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ.
2. მოხსენება მუშათა და წითელ არმიელთა საბჭოს შესახებ.
3. მიმდინარე საკითხები.

ამხანაგებს ვთხოვთ ნუ დაიგვიანებენ.

საბჭოს არჩევნები დაიწყო

თბილისის მუშებისა და წითელ არმიელების წინაშე სდგას კითხვა იმის შესახებ თუ ვის, რომელ პარტიას ჩაბარდეს ხელმძღვანელობა მომავალი საბჭოსი, ვინ შეიქნეს ბატონ-პატრონი ქალაქის, აღმშენებელი მისი მეურნეობის, განმამტკიცებელი რევოლიუციონური წესრიგის, ჭეშმარიტი ბაირაღატარი ერთა სოლიდარობის და ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის.

მომავალი საბჭო უნდა იყოს ორგანო მხოლოთ მშრომელთა განუყოფელი ძალა-უფლების. ცხადია, რომ **იქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს მათ ვისი მოღვაწეობა რევოლიუციის მთელ მანძილზე წარმოადგენდა ამ ძალა-უფლების სისტემატიურ ღალატს და უარყოფას. ასეთები იყვნენ საქართველოს მენშევიკები და მათი ამყოლ-დამყოლი სხვა „სოციალისტური“ პარტიები.**

მომავალმა საბჭომ უნდა მოაწესრიგოს ქალაქის მეურნეობა. მან უნდა იზრუნოს პირველ ყოვლისა მშრომელი მასების უშუალო მოთხოვნილებებზე, მათი ყოველ-დღიური ცხოვრების გაუმჯობესებაზე. მან უნდა სრულიად უზრუნველ ჰყოს ქალაქის მუშები, რომ მათი შრომა განაყოფიერდეს, ამით მეურნეობა განვითარდეს, ბაზარი გაივსოს, ასე განვითარებული მეურნეობის შედეგათ სოფელთან ნორმალური რეგულიარული კავშირი დამკვიდრდეს, გაცვლა-გამოცვლა სწარმოებდეს. ეს უნდა მოახერხოს ქალაქის მრეწველობამ იმ ფარგლებში მაინც, რომლებშიაც თავის მდგომარეობით შეუძლია მას საზოგადოთ ამის შესრულება. მომავალმა საბჭომ უნდა უხელმძღვანელოს ამ მუშაობას. **ეს საქმე შეუძლია ითავოს და მომჭირნეობით შეუდგეს მის მოგვარებას, მხოლოთ იმ პარტიას, რომელიც დაინტერესებულია ქვეყნის აღმშენებლობაში. ასეთები არიან კომუნისტები. ასეთები არ შეიძლება იყვნენ მენშევიკები და მათი ამყოლ-დამყოლი ჯგუფები.** უკანასკნელ ხანებში მათ შეითვისეს პირიქით სხვა ტაქტიკა. ისინი სცდილობენ ჩვენი ცხოვრების არევ-დარევით, მისი პირობების გაცუდებით სიძნელენი შეუქნან არსებულ წყობილობას, ხალხში მითქმა-მოთქმა და ალიაქოთი გამოიწვიონ და მთავრობის წინააღმდეგ აამხედრონ. ასეთი მათი ცდა უკვე დათავდარამოდენიმეჯერ სასტიკი დამარცხებით. მათ აშკარათ ნდობა დაჰკარგეს ფართო მასსებში. ეს უკანასკნელები მათ არ გააკარებენ მომავალ საბჭოს, არ აირჩევენ მის შემადგენლობაში. **რევოლიუციონური წესრიგის მტრებს არ უნდა ჰქონდეს ადგილი თბილისის საბჭოში.**

მომავალი საბჭო უნდა შეიქმნეს სხვა და სხვა ეროვნების მუშათა კლასიური კავშირის ორგანოთ. ნაციონალურ-ბურჟუაზიულ პარტიების თარეშით შექმნილ ერთაშორის უნდობლობის, შურისა და მტრობის ტრადიციულ ატმოსფერაში მომავალი საბჭო უნდა შეიქმნეს როგორც შავი შოვინიზმის სიბილწისაგან ყოვლის გამწმენდი იარაღი. ის უნდა შეიქნეს ორგანოთ სხვა და სხვა ეროვნებათა მუშების შეთანხმებული ბრძოლის, ამიერ კავკასიის ერთა სოლიდარობის, ერთ-ერთ მებაირახტრე ყველა მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკების ფედერატიული კავშირის.

ყველანი გარდა კომუნისტებისა და მშრომელთა ფართო მასებისა მტრები არიან ასეთი კავშირის, რესპუბლიკათა ფედერაციის. მენშევიკებისა და ნაციონალისტური პარტიის წარმომადგენლებს ადგილი არ უნდა ჰქონდესთ თბილისის მომავალ საბჭოში.

თბილისის მუშები და ჯარისკაცები ხმას მისცემენ როგორც ერთი კაცი და ამოირჩევენ საბჭოში მხოლოთ თავის პარტიის, საქართველოს კომუნისტური (ბალშევიკების) პარტიის წარმომადგენლებს.

შავი რაინდების შავი განზრახვა

საბჭოთა საქართველოს ხერხემალი მაგრდება. ანტანტას და მის ლაქიების ულლიდან განთავისუფლებული ის აყვავების გზაზეა შემდგარი. მშრომელთა დიქტატურა მტკიცდება. მუშა და გლეხი გაორკეცებული ენერგიით შრომობს, მეურნეობის და მრეწველობის აღდგენას ხელს უწყობს. ეკონომიურათ მოღონიერება და წინსვლა მომასწავებელია საბჭოთა ხელისუფლების საბოლოოთ განმტკიცების ეს კი გულზე ხეთქავს მშრომელთა ბატონობის მოწინააღმდეგეთ, ბურჟუა-მემამულეების ქომაგებს.

სამუდამოთ განსვენების მომასწავებელია მათთვის საქართველოს მშრომელი ხალხის გამარჯვება სამეურნეო ფრონტზე. მუშის და გლეხის მოღონიერება. მათი შრომის ნაყოფიერება უდიდესი საფრთხეა ხალხის მტრებისთვის. რაც უფრო გაუარესდება მდგომარეობა. მით უკეთესია ამ გარიჟულ მოღალატეებისთვის. ჩ ცდილობენ ხელი შეუშალონ საქართველოს აღორძინებას, გული აუცრუონ მშრომელთ შრომაზე, შეუძლებელი გახადონ აშენებლობა, მით უფრო ახლა, როცა საქართველოს მუშები და გლეხები საბჭოების არჩევნების სამზადისში არიან.

ვაჟბატონი მენშევიკები საზღვარგარეთ მიმართავენ ყოველგვარ საშუალებას, რათა საქართველომ ვერ განამტკიცოს სავაჭრო კავშირი ევროპასთან, საიდანაც უკვე მოგვდის პური და სხვა მიუცილებელი მოსახმარი საგნები. ისინი ცუღლუტობენ, ათასგვარ ხრიკებს მიმართავენ, რათა საბჭოთა საქართვ. ვერ დაიბრუნოს ის აუარებელი სარკინისგზო მასალა, რაიც მათ, მენშევიკებმა გააპარეს საქართველოდან გაქცევისას. ისინი იმპერიალიზმის ჯარების შემოსევით ემუქრებიან საქართველოს, შავ-ყვითელ ურდოების მოწყობა—დარაზმვის მზადებაში არიან.

აქ დარჩენილი მენშევიკები გართულნი არიან ცხოვრების აფორიაქების მზადებაში. რკინის გზების მოშლას შეეცადნენ გაფიცვის გამოწვევით, მაგრამ იმედი გაუმტყუნდათ: მშრომელთა მასსებმა ავაზაკობის ბოძზე გააკრა მოუსვენარი მოღალატენი.

ახლა მათ განუზრახავთ მორიგი შავი საქმის შესრულება: რათაც არ უნდა დაუჯდესთ, ხელი შეუშალონ საქართველოდან შავი-ქვის (მარგანეცის) გაზიდვას! იციან, რომ შავიქვის მაგიერ საბჭოთა მთავრობა საზღვარგარეთიდან შემოიტანს მშრომელთათვის საჭირო საქონელს. იციან, რომ შავიქვის ექსპორტი ჭიათურის, ფოთის და ბათომის მუშებს გაუუმჯობესებს მდგომარეობას ახლავე. იციან ეს და მიტომაც ცდილობენ მშრომელთა კეთილდღეობის ეს მთავარი ძარღვი გადაჭრან.

მაგრამ საბჭოთა მთავრობა და მისი ადგილობრივი ორგანოები ფხიზლათ იქნებიან სადარაჯოზე.

ფხიზლათ იქნებიან მუშები, რომელთა გაწამება დაუსახავთ მიზნათ მენშევიზმის შავ რაინდებს.

ფხიზლათ იქნება თბილისის პროლეტარიატიც და თავის ციხე სიმაგრეში, თბილისის საბჭოში არ შეუშვებს არც ერთს მენშევიკს, არც ერთს მოწინააღმდეგეს მშრომელთა ხელისუფლებისას, საბჭოთა ძალაუფლებისას.

პური ამიერ-კავკასიის საბჭ. რესპუბლიკებისათვის

„ფოლკლენდომი“-ს შემდეგ, რომელმაც მოიტანა ინგლისიდან ამიერ-კავკასიისათვის 150,000 ფუთი ფქვილი, ბათომში მოვიდა ოკეანეს გიგანტი „ედმუნდ სივერსი“ 250,000 ფუთი ამერიკული ფქვილით. მიღებულია რადიო იმის შესახებ, რომ 7 ნოემბერს ნიუიორკიდან გამოვიდა და დეკემბრის პირველ რიცხვებში ბათუმის ნავთსადგურში იქნება მეორე ოკეანეს გემი ამერიკული ფქვილით გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობის კომისარიატის სახელზე. ის მოიტანს კიდევ 250,000 ფუთ ფქვილს.

მოვიდა და იცლება პირველი გემი ფქვილით, რომელიც გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა შეიძინა ბოლგარეთში. ბურგსიდან მოდის ბოლგარეთის მეორე გემი ფქვილით. სულ შესყიდულია ბოლგარეთში 780,000 ფუთი ფქვილი..

ამ ნაირათ დეკემბრის პირველ რიცხვებში გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობის კომისარიატს ექნება დიდი სასურსათო ფონდი—1,500,000 ფუთი ფქვილი. ზედმეტი არ იქნება აღვნიშნოთ, რომ ეს ფქვილი ყოველ გვარი გადმოსატანი ხარჯებით დაჯდა გაცილებით უფრო იაფი, ვიდრე ის დაჯდებოდა, რომ შეგვეძინა სტამბოლში. ამასთან სტამბოლში არ იშოვება ასეთი დიდი პარტია.

მიღებული და ახლო ხანში მისაღები ფქვილი განზრახულია განაწილდეს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მცხოვრებლებს შორის. ამ მომარაგების შემდეგ შიმშილის აჩრდილი ამიერ-კავკასიისათვის ნახევარი წლით თავიდან აცილებულია.

გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა საზღვარ-გარეთელი ფქვილი შეიძინა ოქროს ფულით.

არჩევნების პირველი შედეგები

მეთამბაქოები ხმას აძლევენ კომუნისტებს

3 დეკემბერს სეილანოვის თამბაქოს ფაბრიკაში შესდგა მუშა კაცებისა და ქალების საერთო შეერთებული კრება შემდეგი ქარხნებიდან: სეილანოვის, ენფიანჯიანცის, „კომეტასი“, დიუბეკის, გილზის ფაბრიკა „პობედა“, და სხვ. კრებაზე დაესწრო 700 მეტი მუშა. ამხ. კუზნეცოვის, ყურულაშვილის და ნაზაროვის მოხსენებების შემდეგ მოხდა არჩევნები თბილისის საბჭოში. ასარჩევი იყო ოთხი დეპუტატი. **კრების მიერ ერთხმად არჩეულ იქნენ ჩვენი პარტიის მიერ წამოყენებული ოთხივე კანდიდატი, რომელთა შორის სამი კომუნისტი და ერთი** უპარტიო— მათ შორის ორი მუშა ქალი).

— 3 დეკემბერს „მირის“ ფაბრიკის შენობაში მოხდა შეერთებული საერთო კრება „მირის“, „კავკაზის“ და „სალვიეს“ თამბაქოს ფაბრიკების მუშებისა, დაესწრო ხსენებულ ქარხნების ყველა მუშები. ასარჩევი იყო ერთი კანდიდატი. არჩეულ იქნა **კომუნისტი ამხ. არიბჯანოვი.**

საბჭოთა კოლოფების ფაბრიკა

3 დეკემბერს მოხდა საბჭოს კოლოფების ფაბრიკის მუშა კაცების და ქალების საერთო კრება, რომელსაც დაესწრო ყველა მუშები. ასარჩევი იყო ერთი დეპუტატი. ერთხმად არჩეულ იქნა **ჩვენი პარ. ამხანაგი ფრიდონოვი.**

ტოლეს საპნის ქარხანა

3 დეკემბერს მოხდა ტოლეს საპნისა და ზეთის ქარხნის მუშების საერთო კრება. მოხსენების მოსმენის და გარჩევის შემდეგ საბჭოში ერთხმად არჩეულ იქნა ჩვენი ამხანაგი **უნანიანი.**

ავტო-ტრანსპორტის სახელოსნოში

საბჭოს პირველ არჩევნებში პირველ ავტო-ტრანსპორტის სახელოსნოში გავიდა კომუნისტი ამხ. ბურჯანაძე.

მუშებმა მიიღეს რეზოლიუცია, რომელშიდაც მოუწოდებენ თბილისის პროლეტარიატს ხმა მისცენ განსაკუთრებით კომუნისტებს.

საბჭოთა არჩევნების გარშემო

საარჩევნო კრებები

2 რაიონი.

დღეს 4 დეკემბერს, დილის 10 საათზე პუშკინის საავადმყოფოში შესდგება მეეზოვების და მრეცხავების მთელი ქალაქის კრება.

12 საათზე ცენტრალურ მუშათა კლუბში—კრება საბჭოთა 1 სახლის, დიტრიხის ქარხნის და ცენტრალურ მუშათა კლუბის მოსამსახურეებისა.

ორშაბათს 5 დეკემბერს, დილის 7 საათზე ტრამვაის პარკის შენობაში შესდგება ტრამვაის მოსამსახურეთა კრება.

დილის 10 საათზე სამხედრო ხე-ტყის სახერხავ ქარხანაში შესდგება კრება: სამხედრო ხე-ტყის სახერხავ ქარხნის, კასპარიანცის, ეკონომიური საზოგადოების, მოლუნული დგამების გაერთიანებულ ხე-ტყის სახერხავ ქარხნების, ხის ლურსმნების, „ფანერკის“ ფაბრიკების, ქარხანა „ფაიანო“-ს და ცალკე საამშენებლო და ჩუღურეთის რაიონის ხეზე მომუშავეთა მუშა-მოსამსახურეებისა.

დილის 12 საათზე სამხედრო წაღის საკერავ სახელოსნოში დანიშნულია საბჭოთა სახელოსნოების მუშებისა და მოსამსახურეების საერთო კრება.

დღის 3 საათზე ლიონის განყოფილების შენობაში (ელისაბედის ქ. № 119) დანიშნულია საერთო კრება: ავტო სახელოსნო № 1, მთავარი სახელოსნო № 3, საპ. მექანიკ. ქარხნების №№ 1, 2, 3, სპილენძის ქარხნის, მექანიკური ქარხნების გნომის, ბენდუკიძის, გაგნიძის და ცეკავშირის ქარხნების მუშა-მოსამსახურეებისა.

3 რაიონი.

კვირას, 4 დეკემბერს. დილ. 10 საათზე მუსულმანურ აუდიტორიაში შესდგება აბანოს დაბალი მოსამსახურეების კრება.

დღის 12 ნახევარ საათზე კახეთის ქუჩა, № 23 შესდგება კრება კერძო ფურნეების მუშებისა.

ორშაბათს, 5 დეკემბერს. დილის 8 საათზე სასურსათო სავაჭროს ბინაზე შესდგება სასურსათო სავაჭროს მუშა მოსამსახურეების კრება.

დღის 4 საათზე საკერავ სახელოსნოს № 13 ბინაზე—კრება მუშა ქალებისა და მამაკაცებისა.

დღის 1 საათზე მახმუდბეკოვის ფაბრიკის ბინაზე საერთო კრება ფაბრიკის მუშა ქალებისა და კაცებისა.

4 რაიონი.

დღეს, 4 დეკემბერს, დილის 10 საათზე მუშათა სასახლეში—მბეჭდავთა საერთო კრებაა.

დილის 10 საათზე სახელმწიფო დრამაში—რაბისის საერთო კრებაა.

ორშაბათი, 5 დეკემბერს, დღის 2 საათზე, ცენტრალურ საკერავ ფაბრიკაში—ამავე ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა კრება.

დღეს 12 საათზე, ქალაქის ფურნის ბინაზე: ქალაქის ფურნის და სხვა წვრილ წარმოებების მუშებისა და მოსამსახურეების კრება.

მუშა-ქალების მიტინგ-კონცერტი.

დღეს. 4 დეკემბერს, დღის 12 საათზე, მუშათა სასახლის ზალაში ს. კ. პ. თბილ. კომიტეტის ქალთა შორის მომუშავე კულტ.-განყოფილება მართავს მუშა-ქალებისათვის მიტინგ-კონცერტს. მოხსენებას გააკეთებს ამხ. მიშა კახიანი თემაზე: „საბჭოების მნიშვნელობა“.

ინსტრუქცია

ქალაქ თბილისის და მისი რაიონების მუშათა და წითელ-არმიელთა დეპუტატების საბჭოს არჩევნებისათვის

1. ქ. თბილისის მუშათა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოს არჩევნებში მონაწილეობას იღებენ მოქალაქენი, განურჩევლად სქესის, მუდმივი ბინადრობის, ქვეშევრდომობის, ეროვნების, სარწმუნოებისა და სხვა, რომელთაც არჩევნების დღისათვის შეუსრულდათ 18 წელი.

ა) ყველა, ვინც ცხოვრების საშუალებებს იძენს წარმოებითი და საზოგადოებრივ სასარგებლო შრომით, როგორც: მუშები და მოსამსახურენი ყველა სახის და კატეგორიისა, დაბანდებულნი მრეწველობაში, ვაჭრობაში, სასოფლო-მეურნეობაში და სხვა.

ბ წითელ არმიელნი, რომელნიც ეწევიან საგარნიზონო სამსახურს და მუდმივად იმყოფებიან თბილისსა და მის რაიონებში.

გ მოქალაქენი ზემო ჩამოთვლილ კატეგორიებში შემავალნი, რომელთაც რომელიმე ხარისხით დაკარგული აქვთ შრომის უნარი (დასახიჩრებული მეომარნი და სხვა).

2. არ ირჩევენ და არც შეიძლება იყვნენ არჩეულნი, თუნდაც ისინი შედიოდნენ ერთ-ერთ ზევით ჩამოთვლილ კატეგორიაში:

ა) პირნი, რომელნიც სარგებლობენ დაქირავებული შრომით მოგების მიღების მიზნით;

ბ) პირნი, რომელნიც უშრომო შემოსავლით ცხოვრობენ, როგორიცაა: კაპიტალის პროცენტები, შემოსავალი წარმოებებიდან, შემოსავალი ქონებიდან და სხ.

გ კერძო მოვაჭრენი და მოვაჭრე კომერციული შუამავალნი;

დ) ბერები და საეკლესიო სარწმუნოებრივ კულტების სასულიერო მსახურნი;

ვ მეფის ყოფილ პოლიციის. დამცველ განყოფილებათა და დამხობილ მთავრობის ყოფილ საგანგებო რაზმის მოსამსახურენი და აგენტები.

ე) პირნი, ცნობილნი მიღებული წესით სულით ავადმყოფებად ან სულელებად, და აგრეთვე მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირნი.

ი) პირნი, დასჯილნი ანგარებითი და გამაწბილებელ დანაშაულებისათვის, კანონით ან სამოსამართლო განაჩენით დაწესებული ვადით.

3. წარმომადგენლობის ნორმა მუშათა და წითელ არმიელთა თბილისის საბჭოში: 150-დან 200 ამომრჩეველამდე გზავნის ერთ დელეგატს, ხოლო ამაზე ზევით თითეულ 200 ამომრჩეველზე თითო დელეგატს.

შენიშვნა 1. თუ წარმოებაში, ფაბრიკაში, ქარხნებში, სახელოსნოში და სხვა არის 200-ზე მეტი ამომრჩეველი, 100 კაცზე მეტი, ე. ი. ნორმის ნახევარზე მეტი, ისინი ირჩევენ თბილისის საბჭოში დამატებით კიდევ ერთ დეპუტატს.

შენიშვნა: 2. წარმოებები და ცალკე სამხედრო ნაწილები, რომელთაც არ ყავთ 150 ამომრჩეველი, ერთიანდებიან საერთო არჩევნებისათვის.

შენიშვნა 3. იქ, სადაც გაერთიანება მაინც ვერ იძლევა 150 ამომრჩეველს (მაგ.: 120, 130), ამომრჩევლები დამოუკიდებლად რაოდენობისა გზავნიან თბილისის საბჭოში ერთს წარმომადგენელს.

შენიშვნა 4. იქ, სადაც არჩევნები ხდება პროფესიონალურ კავშირების მიერ გამართულ საზოგადო კრებებზე (მაგალითად: საბჭოთა მოსამსახურეების კავშირი და სხვა), ირჩევენ ერთ დელეგატს 500 შეკრებილზე.

4. დეპუტატების არჩევნები წარმოებს საზოგადო კრებებზე:

ა) მუშების, მოსამსახურეების და რკინის გზელების, სამრეწველო და

სავაჭრო წარმოებათა მიხედვით (ფაბრიკებში, ქარხნებში, სარეწავებში, სახელოსნოებში და სამსახურის ადგილას).

ბ) წითელ არმიელებისა (ბრიგადებში, პოლკებში, ცალკე კომანდებში და ბატალიონებში, ცალკე კავარმიის პოლიტმართველობისა და საქართველოს წითელ არმიის პოლიტგანყოფილების ჩვენებით).

გ) საბჭოთა მოსამსახურების, წვრილი მრეწველობის მუშების, შინა მოსამსახურეთა და სხვათა საერთო კრებებზე, რომლებსაც აწყობენ სათანადო პროფკავშირები.

შენიშვნა: მუშების და წითელ არმიელთა დეპუტატების თბილისის საბჭოში აირჩევიან მხოლოდ მუშები, მოსამსახურენი და წითელ არმიელნი, რომელნიც ცხოვრობენ და დაბანაკებულნი არიან ქალ. თბილისის და მისი რაიონების საზღვრებში.

5. არჩევნების ხელმძღვანელობისათვის არსდება ცენტრალური, რაიონული, საგარნიზონო, საბრიგადო, პოლკის და ბატალიონის საარჩევნო კომისიები მუშათა რაიონებისა და წითელი არმიისათვის.

6. ცენტრალურ საარჩევნო კომისია ირჩევა 7 პირისაგან: ერთი ქალაქის რევკომიდან, ოთხი პროფესიონალურ კავშირთა საბჭოდან, ერთი კ. ც. ა. პ. მმართველობიდან და ერთიც საქართველოს წითელი არმიის პოლიტგანყოფილებიდან.

7. დანარჩენი საარჩევნო კომისიები არსდება:

ა) რაიონული—სამი კაცისაგან.

ბ) საგარნიზონო—სამი კაცისაგან.

შენიშვნა 1. ქალ. თბილისი იყოფა 4 საარჩევნო უბნად.

შენიშვნა 2. ბრიგადის, პოლკის, ბათალიონის და სხვათა საარჩევნო კომისიებს ნიშნავს გარნიზონის საარჩევნო კომისია.

8. ცენტრალური საარჩევნო კომისია ხელმძღვანელობს მთელ არჩევნებს, სცემს ინსტრუქციებს, ნიშნავს არჩევნების დღეს და ვადას, ამტკიცებს ან აუქმებს არჩევნების წარმოებას, იხილავს განცხადებებს და პროტესტებს, აძლევს დროებითი მანდატებს, ადგენს საარჩევნო კრებების ოქმების ფორმებს, და არჩევნების გათავების შემდეგ გადასცემს ყველა მასალას საბჭოს მიერ არჩეულ სამანდატო კომისიას.

9. რაიონული, საგარნიზონო და სხვა საარჩევნო კომისიები ხელმძღვანელობენ არჩევნებს ადგილობრივად, წინასწარ არკვევენ თითეულ წარმოების, სამხედრო ნაწილის ამომრჩეველთა რაოდენობას, ხელმძღვანელობენ მუშების, მოსამსახურეების და სხვათა გაერთიანებას საერთო არჩევნებისათვის, ადგენენ საარჩევნო კრებების ოქმებს და თავისი დასკვნით აგზავნიან ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.

10. დეპუტატების არჩევნები წარმოებს საჯაროდ საზოგადო კრებებზე ხმის მიცემის ამერიკული სისტემით—ხელის უბრალო აწევით.

11. არჩევნები ხდება საარჩევნო კომისიის წევრების ან მისი წარმომადგენლის დასწრებით.

12. არჩევნების შესახებ ადგენენ ოქმს საარჩევნო კომისიის წევრის ან მისი წარმომადგენლის და საარჩევნო კრების პრეზიდიუმის ხელმოწერით.

13. არჩევნების დროს წარმოების მუშაობა ჩერდება, იმ შემთხვევების გამოკლებით, როცა მუშაობის შეჩერება შეუძლებელია ტეხნიკურის მიზეზებით.

14. საარჩევნო კრება ითვლება კანონიერათ და უფლება მოსილად, თუ მას დაესწრება ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ორ მესამედზე არა ნაკლები.

15. თუ დაწესებული ქვორუმი არ შესდგა, იწვევენ ხელმეორე კრებას, რომელიც ჩაითვლება კანონიერად დამსწრეთა რაოდენობის დამოუკიდებლად.

16. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში არჩეულნი არიან ამხანაგები: **მამია ორახელაშვილი, გიორგი ყურულაშვილი, მიხეილ კახიანი, ლევან ღოღობერიძე, ნიკოლოზ ოკუჯავა, ალექსანდრე გეგეჭკორი** და **ანნა ლალევისა**; ამ კომისიაში უნდა მიმართონ ყოველვარ ცნობებისათვის.

საგარნიზონო კომისიაში შედიან: თავმჯდომარე ამხ. **ნ. ოკუჯავა** და წევრები ამხ. **გერშოვიჩი** და **ტორონაშესტოვი**.

1. რაიონისა—თავმჯდომარე ამხ. **ობოლაძე**, წევრები ამხ. **ივანოვი** და **ვაშაკიძე**.

2. რაიონისა—თავმჯ. ამხ. **ბ. კალანდაძე**, წევრები ამხ. **ნაზაროვი** და **ხერგეევი**.

3. რაიონის—თავმჯდ. ამხ. **ჯორბენაძე**, წევრები ამხ. **ისეინეკოვი** და **ბაგიროვი**.

4. რაიონი—თავმჯდ. ამხ. **ბურჯანაძე**, წევრები ამხ. **ეგიკოვი** და **ნ. კიკნაძე**.

ცენტრალური საარჩევგო კომისია მოთავსებულია საქართველოს პროფ. საბჭოს კულტგანყოფილებაში (მუშათა სასახლე); უნდა მიმართონ ამხ. გ. ყურულაშვილს.

1-ლი რაიონული კომისია—ჩერქეზიშვილის ქ., 145, ბინა 1-ლი რაიკომისა.
2-რე „ „ მიხაილოვის ქუჩა 96.
3-ე „ „ კახეთის მოედ. (ავლაბარი .
4-ე „ „ ვერის დაღმართი სახ. მელიქ-აზარიანცისა.

კაპიტალიზმის სამეფოებში

გერმანია

ყოველივე იმედი დაკარგულია.

მოსკოვი. 3 დეკემბერი. (რადიო) ბერლინის გაზეთი „ტეიმლისე ბუნდშაუ“ გადმოსცემს იმ ღრმა მწუხარებას, რომელმაც მოიცვა ბერლინის მემარჯვენე წრეები იმის შემდეგ, რაც რეიხსკანცლერმა ოფიციალურად მიიღო რუსეთის წარმომადგენელი კრესტინსკი. ამნაირად რაკი გერმანიამ იცნო რუსეთის საბჭოთა ოფიციალური წარმომადგენელი, რუსეთის მემარჯვენე წრეები ყოველივე იმედს ჰკარგავენ, რომ გერმანიამ მიიღოს რაიმე მხურვალე მონაწილეობა ბოლშევიკთა მოსალოდნელ დამხობაში.

გერმანიის გაფიცვის მოძრაობის გაძლიერება.

ბერლინი 3 დეკემბერი **(რადიო).** გაფიცვის გამოცხადებას, რომელიც მიღებულ იქმნა 29 ნოემბერს ქალაქის ელექტრო-სადგურის კონტორის მსახურთა მიერ, მიემხრენ მუშებიც. ტრამვაის მოძრაობა შეჩერებულია, ელექტრონის ენერგიის მიუწოდებლობის გამო, თითქმის ყველგან. მათთან ერთად გაიფიცნენ შვეიცარები, ამყვან მანქანების მოწესრიგენი და სავაჭრო წარმოებათა ფეჩების ამთებნი.

საფრანგეთი.

ბოლშევიკური პროპაგანდა.

პარიზი. 12 ნოემბერი. გაზეთი „კომუნარი“ იტყობინება, რომ „ეკო შაპელის“ ცნობით, დაპატიმრებულია ანარქისტი როდოვერი, ახლად დაბრუნებული მოსკოვიდან, სადაც იგი საბჭოთა მნიშვნელოვან კრებებს ესწრებოდა თურმე, როდოგერის ბარგში აღმოჩნდა მრავალი საბუთები და ქაღალდები ბოლშევიკურ პროპაგანდის განვითარების შესახებ ევროპაში.

ინგლისი.

დემონსტრაცია ლონდონში.

ლონდონი. 18 ნოემბერი. ლონდონის კომუნისტურ ორგანიზაციამ მოახდინა დემონსტრაცია ანარქისტების სანკო და ვინცელის დასჯის გამო ამერიკაში. დემონსტრაციის ხელმძღვანელთა რიცხვში ერია მისს ჰახკერსტის ქალი. მიტინგზე მიღებულ იქმნა საპროტესტო რეზოლიუცია იტალიის ანარქისტების დასჯის წინაალმდეგ.

ირლანდიის ურთიერთობა.

პარიზი 14 ნოემბერი, „ტაი“ სწერს. ირლანდიის საკითხი მთლიანად გამოიხატება იმაში რომ შეუთანხმონ ერთმანეთს ჩრდილო და სამხრეთ ირლანდიის მოთხოვნილებანი და დაედოს ისეთი საზღვარი, რომელიც ორთავ მხარეს დააკმაყოფილებს და უზრუნველჰყოფს სამოქალაქო მშვიდობიანობის მომავალში. ბრიტანიის მთავრობა დაჟინებით იმ აზრს ადგია რომ სიმფენიერებმა იცნონ, რომ ირლანდია შეადგენს ბრიტანიის იმპერიის ნაწილს ავტონომიის უფლებებით. მხოლოდ ამ შემთხვევაში ინგლისის მთავრობა მზადაა დააკმაყოფილოს ირლანდიელების ტერიტორიალური მოთხოვნილებანი. უელსტერში მცხოვრები კათოლიკები წინაალმდეგნი არიან ირლანდიის შეერთებისა. ამნაირათ, საკითხის გადაუწყვეტლობის გამო, საჭირო იქნება პლებიცისტისადმი მიმართვა. ინგლისში წამოყენებულია კიდევ ერთი გამოსავალი ამ მდგომარეობიდან: შექმნა ცენტრალურ ირლანდიის საბჭოსი ფართე რწმუნებებით. აღნიშნულ საბჭოს უნდა დაემორჩილოს, როგორც დუბლინის პარლამენტი, ისე ბელბასტო.

იტალია

იტალიის პროლეტარიატის გამოკვება.

მოსკოვი, 3 დეკემბერი (რადიო). სტამბის მუშების გაფიცვამ იტალიაში გავლენა იქონია. ტრისტის ფედერაციის სტამბის მუშების მდივნის მკვლელებ შორის, რომელნიც სულ 8 კაცი ყოფილა, 6 უკვე დაპატიმრებულია და დანარჩენ ორის პიროვნება გამოურკვეველია, თუმცა ჯერ-ჯერობით იმალებიან. იმას შემდეგ როდესაც ვენობიმ ფედერაციის კომუსისტს მოახსენა გამოძიების ესეთი შედეგები, კომიტეტმა დაადგინა მუშაობის განახლება. 29 ნოემბერს მოელოდნენ გაზეთების გამოსვლას.

ევროპის ხსნა გერმანიისა და რუსეთის აღდგენაშია.

მოსკოვი, 3 დეკემბერი (რადიო გერმანიის საზოგადოებრივი აზრი ამ ჟამად დიდი გულის ყურით მიპყრობილია ინგლის-გერმანიის დამოკიდებულების განვითარებისაკენ. დიდ ინტერესს იწვევს მოსვლა ბერლინში ინგლისის პარლამენტის ლიბერალ წევრის კენვერტისა, რომლის მოსვლაც ლონდონიდან დაბრუნებულ სტესის მოსვლას თან მოჰყვა. კენკერტიმ გაზ. „ლოკან ანცაიგერ«-ის წარმომადგენელს განუცხადა, რომ ვაშინგტონის კონფერენციაზე გერმანიის და რუსეთის დაუსწრებლობის გამო კონფერენცია არავითარ ნაყოფს არ მოიტანს. კენვერტის სიტყვით, გერმანია უნდა დავიხსნათ თუნდაც იმისთვის, რომ გადარჩეს ინგლისი, რადგანაც ვინიცობაა ევროპის კატასტროფა მოხდა, გერმანია მეტ წინაალმდეგობას გამოიჩენს ვიდრე ინგლისი ან საფრანგეთი. ევროპის ხსნას კენვერტი ხედავს ინტენსიურ მუშაობაში გერმანიისა ინგლისთან ერთად, განსაკუთრებით კი ორთავ სახელმწიფოების საერთო მუშაობაში რუსეთში, ისე რომ ინგლისი უნდა გამოვიდეს, როგორც სამუშაოს მიმწოდებელი, ხოლო გერმანია როგორც მოიჯარადრე. რუსეთს ამ ჟამად ნამდვილად ისეთი მთავრობა ჰყავს, როგორიც მას ესაჭიროება. გარდა ამისა რუსეთი სანდოა ვალის გადახდის მხრივ ვინაიდან რუსეთის ხალხი გონიერია, ამტანი, შრომის მოყვარე და თვით ქვეყანა კი—ღონიერია. მახლობელ მიზანს შეადგენს ციმბირის რკინის გზების ქსელებით დაფარვა, რაიც შეუძლიან თამამად კრუპის ქარხანას და ინგლისის ვიკკეროს. ინგლისის განკარგულებაშაა საზღვაო ძალა, პოლიტიკური ძლიერება და ფული. გერმანია კი ძლიერია ორგანიზაციით და ინჟინერებით. გერმანიამ უნდა დაამუშავოს ინგლისის მიერ მოწვდილი ნედლი მასალა, ხოლო უკანასკნელმა უნდა მიჰყიდოს რუსეთს მზად დამზადებული ნაწარმოებები. ამის ნაცვლად ინგლისი მიიღებდა რუსეთიდან იაფ-ფასიან ნედლ მასალას და ამაში კი გამოიხატება ევროპის ხსნა.

და თუ ამ ქვეყნების მთავრობები წინაალმდეგობას გაუწევდნენ ამ გეგმას, მაშინ კომუნისტები თვის მთავრობების გარეშე, დამოუკიდებლად უნდა შეერთდენ საერთო სამოქმედოთ. ამასთან ერთად კენვენტიმ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საფრანგეთის კომერსანტებიც კი ნელ ნელა თვალს ახელენ, კერძოდ ანაზღაურებათა საკითხში.

ქრონიკა

◆ **რევტრიბუნალში,** კვირას 11 დეკემბერს, დილის 11 საათზე ს. ს. ს. რ. უზენაესი რევტრიბუნალში სახაზინო ბრალმდებლის და დამცველის დაშვებით განხილული იქმნება საქმე ქ. თბილისის დამცველ რაზმის ყოფილი უფროსის, მორტრანის კომისრის, სერგეი ალექსანდრეს ძე შახოვისა, და შოფერ ტრდატ სერგეის ძე დავიდოვის შესახებ, რომელთაც ბრალდებათ სახაზანო ნივთების მითვისება და შახოვს აგრეთვე ყალბი ცნობების მიწოდება. საგანგებო კომისიის შესახებ პროვოკაციის აღძრა. ლოთობაში არა ერთხელ მონაწილეობის მიღება, საბჭოთა ხელისუფლების დამცირება. სხდომის დარბაზში შესვლა ბილეთებით, რომლის მიღება შეიძლება ყოველ დღე 11—1 საათამდე ს. ს. ს. რ. უზენაეს რევტრიბუნალის პასუხისმგებელ მდივანთან, სასამართლოს ქ. № 32.

◆ **შრომის დეზერტირი.** თბილისის მთავარ ტელეგრაფის კანტორის ზედამხედველი ივანე კარპუნინი თა-

მენშევიკური სამეფოს საიდუმლოებანი

VIII

მენშევიკური საქართველო—თეთრგვარდიელთა ბნელი ფარული კუნჭული

მენშევიკური საქართველო 1920 წლის განმავლობაში წარმოადგენდა ფარულ ბინას ჩვენი თეთრგვარდიელებისათვის.

მაგრამ ჯერ საჭიროა აღვადგინოთ იმ მდგომარეობის სურათი, რომელშიაც ჩავარდა მოხალისეთა არმია აღნიშნულ წლის განმავლობაში. საბჭოთა ჯარების მიერ ნოვოროსიისკის აღების და ჩრდილო კავკასიიდან დენიკინელების გაძევების შემდეგ მოხალისეთა არმიის რიგები სრულებით იშლებიან, და საქართველოს საზღვართან ხდება მოხალისეთა არმიის ნამდვილი ლიკვიდაცია.

თეთრი არმიის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი გადადის ყირიმში, პსიხოპატ სლაშჩევის სამეფოში, ხოლო უდიდესი ნაწილი კაზაკების, დონელების და ყუბანელებისა იფანტება ამიერ-კავკასიაში, ნაწილი გადადის საქართველოში, სადაც მოხდა მათი ინტერვენცია.

ყირიმში ამ დროს (ლაპარაკია 1920 წლის მარტზე) მოხალისეები ითვლებიან 15-დან 20 ათას კაცამდე, თუ მათ რიცხვში ჩავთვალეთ ისინიც, ვინც იმყოფებოდნენ ზურგის მრავალრიცხოვან დაწესებულებებსა და კანცელარიებში. ფრონტზე კი ამაზე ნაკლები იყო. მაგრამ ყირიმი მალე იქცევა კონტრ-რევოლიუციონურ ძალების შესაკრებ ცენტრად. იჩენს პრეტენზიას ახალი სრულიად რუსეთის ხელისუფლების შექმნაზე. ყირიმიდან თეთრგვარდიელები აწყობენ თავდასხმებს ჩრდილო ტავრიაზე და იქითაც, ერთი სიტყვით, შექმნენ ახალი ანტი-საბჭოთა ფრონტი, რომელმაც 8 თვის გახმავლობაში საკმაო სიმტკიცე გამოიჩინა.

როგორც ვიცით, ვრანგელმა შექმნა ყირიმში ეგრედ წოდებული რუსული არმია, რომელმაც საბჭოთა რუსეთს დიდი დავიდარაბა მიაყენა 1920 წლის განმავლობაში. ეს არმია, ყოველ შემთხვევაში, მისი ძირითადი ნაწილი, სრულიად არ შესდგებოდა ყირიმის მოქალაქეთაგან. ყირიმი, მიუხედავად მრავალრიცხოვანი მობილიზაციისა, რომელსაც ახდენდა ვრანგელი, აძლევდა უკანასკნელს ცოტა ჯარისკაცს, და ისინიც, თავისი არაკეთილსაიმედოების წყალობით, გამოსადეგნი იყვნენ მხოლოდ ზურგში სამსახურისათვის, და არა თავდაცვისა და შეტევისათვის. ვრანგელი თავის 8 თვის არსებობის განმავლობაში აწარმოებდა მთელ რიგ თავდასხმათ, ებმოდა წითელ არმიასთან ბრძოლებში, რომელნიც მას მეტად ძვირად უჯდებოდა ადამიანთა შემადგენლობის მხრივ.

საკითხავია: საიდან ავსებდა ყირიმის ბარონი თავის არმიას, რომელიც პროგრესიულად მცირდებოდა?

ამაზე პასუხს იძლევიან ჩვენს განკარგულებაში მყოფი მასალები მოხალისეთა არმიის ნაშთების შესახებ, რომელნიც მოემწყვდნენ საქართველოს ტერიტორიაზე. ეს მასალები მოწმობენ, რომ ვრანგელი ავსებდა თავის ჯარს მენშევიკური საქართველოს კონცენტრაციული ბანაკებიდან, სადაც თავშესაფარი იპოვეს დენიკინის ბანდების ნაშთებმა.

აი რას გვეუბნებიან ფოთის ქალაქის საბჭოს 1920 წლის 8 აპრილის სხდომის ოქმები:

„ქალაქის მოურავი აუწყებს საბჭოს, რომ, როგორც ყველას მოეხსენება, ამ ჟამად ქალაქში დაბანაკებულია უკანდახეული რუსის ჯარი და დონის კაზაკობა. **ქალაქის თვითმართველობა წინაალმდეგი იყო ლტოლვილების მოთავსებისა ქალაქში. მარტის უკანასკნელ რიცხვებში აქ ჩამოვიდა სამხედრო მინისტრი ლორთქიფანიძე, რომლის განკარგულებით დაარსებულ იქნა ცალკე სამთავრობო კომისია, აღჭურვილი განსაკუთრებული უფლებებით: ჩვენ ვთხოვეთ მინისტრს გაეყვანა აქედან ჯარები, იმის გამო, რომ თვით ქალაქი სურსათის მზრივ განიცდის მწვავე გაჭირვებას და ადგილობრივ მცხოვრებთ არ გააჩნიათ სურსათის საკმაო რაოდენობა, მაგრამ მინისტრი არ დასთანხმდა აქედან ჯარების გაყვანაზე. მან განაცხადა, რომ ფოთიდან, როგორც სანავთსადგურო ქალაქიდან, ადვილია ჯარების გაგზავნა“...**

ამავე მოხსენებაში ქალაქის მოურავი შემდეგ ცნობებს იძლევა ფოთში მომწყვდეულ ჯარების რაოდენობაზე: „მოლტაქის გზაზე მოწყობილ ბანაკში მოთავსებულია 5 ათასამდე ლტოლვილი, თვით ქალაქში 3 ათასამდე, გარდა ამისა, გემებით ყოველდღიურად მოდის 400-500 კაცი. ჩვენ ვთხოვთ მთავრობას შეაჩეროს შემდეგში ჯარების გამოგზავნა. მოველით კიდევ 4 ათას კაცამდე მოსვლას“.

თუ როგორ ეპყრობოდნენ ქართველი მენშევიკები დაკავებულ თეთრგვარდიელებს, ამაზე ლაპარაკობს ქალ. ფოთის პროფკავშირთა საბჭოს მომართვა სამხედრო ლტოლვილთა საგანგებო კომისიის თავმჯდომარისადმი:

„ქალ. ფოთის პროფკავშირთა საბჭო.
№ 136
22 აპრილი 1920 წ.

სამხედრო ლტოლვილთა საგანგებო
კომისიის თავმჯდომარეს.

ქალაქ ფოთის პროფკავშირთა საბჭომ თავის ა. წ. 21 აპრილის სხდომაზე, მიიღო რა მხედველობაში საფრთხე არსებულ წყობილებისათვის რომელსაც წარმოადგენს სამხედრო ლტოლვილების ხელში იარაღის დატოვება როგორც ცივის, ისე სასროლის; სამხედრო მინისტრის ბრძანება პაგონების ჩამოხდის შესახებ და საბჭოს როლი არსებულ წყობილების გამაგრებაში,—დაადგინა: მოგმართოთ თქვენ თხოვნით სასწრაფო ზომების მიღებაზე ლტოლვილების განსაიარაღებლად და სამხედრო მინისტრის ბრძანების სისრულეში მოსაყვანად პაგონების ჩამოხსნის შესახებ. გაცნობებს რა ამას, საბჭო გთხოვთ შეატყობინოთ მას თქვენ მიერ მიღებულ ზომების შედეგები.

თავმჯდომარე
მდივანი ხელმოწერა,“.

ამგვარად, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ დაკავებულ მოხალისეთა რიცხვი ფოთში დაახლოვებით აღწევდა 10—12 ათას კაცს. პროფკავშირთა მომართვიდან ვხედავთ, რომ დაკავებულ თეთრგვარდიელებს იარაღი ჰქონდათ. მეორეს მხრივ, როგორც ჩვენ დავინახეთ, ფოთის ქალაქის საბჭოს სხდომის ოქმიდან, მოხალისენი მოთავსებული იყვნენ ფოთში მხოლოდ იმიტომ, რომ იქედან, როგორც ნავთსადგურიდან, უფრო ადვილი ყოფილიყო მათი გაგზავნა. ფოთში კონცეტრაციულ ბანაკის მოწყობის საკითხს ეხება ერთი ოფიციალური საბუთი, მიმართული საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმისადმი. განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო მოვიყვანთ მას სავსებით:

„შავი ზღვის სანაპიროს
განმათავისუფლებელი კომიტეტის წარმომადგენელი საქართველოში.
22 აპრილი 1920 წ.
№ 220
ქ. თბილისი.
უ. სასტ. „ლონდონი“
ოთახი № 30.

საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმს.

ასლები: 1) მთავრობის თავმჯდომარეს—ნ. ნ. ჟორდანიას.
2) რესპუბლიკის გენერალ-პროკურორს.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის სოხუმის ოლქის და ქალაქის კომიტეტების ოფიციალურ ორგანოში „ნაშ სლოვო«, № 79 (542 ამა წლის 11 აპრილიდან, მოთავსებულია ვრცელი ინტერვიუ თბილისის გაზეთ „ერთობის“ რედაქტორთან—გ. ი. ურატაძესთან.

„ნაშე სლოვო“-ს სამთავრობო ოფიციოზობა, „ერთობის“ მნიშვნელობა, როგორც საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტის ორგანოსი, და ბოლოს, თვით გ. ი. ურატაძის ოფიციალური მდგომარეობა (საქართველოს დამფუძნებელ კრების წევრი)—ავალდებულებს ყოველ მიუდგომელ მკითხველს და საზოგადო მუშაკს განიხილოს ეს ინტერვიუ, როგორც საქართველოს მთავრობის პოზიციების ავტორიტეტული განმარტება. მით უმეტეს, რომ მისი საერთო ტონი და შინაარსი მოკლებულია არსებული სამთავრობო კურსისადმი ოპოზიციონერობის ნიშანწყალსაც და წარმოადგენს ცენტრის ნების და მისწრაფებათა ტიპიურ ტრადიციულ გადმოცემას პროვინციისათვის. ამ ინტერვიუში ჩვენ ვხვდებით შემდეგ, დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის სტრიქონებს: „როდესაც ამ დღეებში ყირიმიდან ფოთში—მოვიდა გემი „ნიკოლოზი“ დენიკინის რწმუნებულებით, რომლებმაც კაზაკებს წინადადება მისცეს ამ გემით ყირიმში გამგზავრებულიყვნენ მოხალისეთა არმიის ნაშთების შესავსებად, წასვლის მსურველნი საერთო რიცხვიდან აღმოჩნდნენ სულ მხოლოდ 17 კაცი“... და სხვა.

ამასთან ერთად, თბილისის ერთერთ არა მთავრობის გაზეთში „ნოვოსტი დნია“ № 519, 15 აპრილიდან მოთავსებული იყო შენიშვნა „რუსეთის ლანდსკნეხტიზმის გარშემო“, რომლის დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა, ეტყობა, სრულებით არ ყოფილა შეგნებული და გათვალისწინებული გაზეთის რედაქციის მიერ.

„ნოვოსტი დნიას“ კორესპონდეტის სიტყვებით, ფოთში დაკავებულმა მოხალისეთა გენერალმა ნევადოვსკი, მოითხოვდა რა რაც არ უნდა დამჯდარიყო მთელი ოფიცრობის გაგზავნას ყირიმში და სურდა რა ძირშივე მოესპო პროტესტანტული მიმდინარეობა თვით ოფიცერთა წრეში (სამოქალაქო ომში შემდგომი მონაწილეობის წინაალმდეგ), მიმართა შემდეგ პროვოკაციას: ბანაკში, სადაც იმყოფებიან დაკავებული მოხალისეები, გამოკრულ იქმნა განცხადება, რომელიც იწვევდა ჩაწერილიყვნენ ყირიმში წასვლის ყველა მსურველნი და არა მსურველნი. შეიქმნა მძიმე მდგომარეობა: ამ ამბის გადმომცემი კატეგორიულად ამტკიცებს, რომ „არ მსურველთა მიმართ ტერორის შესაძლებლობა არ არი აცილებული“.

როდესაც ყველა თქმულს ვადადარებთ საერთაშორისო მომქმედ უფლების ნორმებს და საქართველოს მთავრობის კატეგორიულ ოფიციალურ რწმუნებას დაკავებულ მოხალისეების მიმართ ამ ნორმების გადაუდელ და დაუზოგველ გამოყენების შესახებ (იხ. ოფიციალური უარყოფა გაზეთ „ბორბა“-ში, № 66, წ. წ. 25 მარტიდან და სამთავრობო ოფიციოზის სხვა განცხადებანი), იბადება აუცილებელი კითხვა: რას ნიშნავს ეს, სახელდობრ ვისთან იმყოფება ომის მდგომარეობაში ან საკავშირო დამოკიდებულებაში საქართველოს რესპუბლიკა.

ასეთი კითხვა სრულიად აუცილებელია და მაზე საქართველოს მთავრობის მიერ უნდა იქმნას მიცემული ამომწურავი განმარტება შემდეგი მოსაზრებათა გამო.

ჰააგის კონფერენციის მიერ, რომელიც მიღებულია ყველა ევროპიელ სახელმწიფოებისაგან, 1907 წლის 18 ოქტომბერს, აღიარებულია, როგორც ურყევი წესი, რომ პირნი, რომელნიც ეკუთნიან მეომარ არმიებს და მოხვდებიან ნეიტრალურ ტერიტორიაზე უნდა იქნენ ომის განმავლობაში დაკავებულნი... რაც შეიძლება, სამხედრო მოქმედებათა თეატრიდან დაშორებით. ნეიტრალურ ტერიტორიაზე არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შედგენილ იქნან სამხედრო რაზმები და გახსნილნი დაწესებულებები მათი შესაკრებად . . . . . ხელისშეუშლელობა დაკავებულთა გასვლისათვის არის ნეიტრალიტეტის უდავო დარღვევა:

ამგვარად, კონვენციის პირველივე, ძირითად დებულებიდან, რო არ ვილაპარაკოთ მის საერთო შინაარსზე, ცხადად სჩანს, რომ გამოუკლებლივ ომის ყველა მონაწილენი, „რომელნიც მოხვდნენ ნეიტრალურ ტერიტორიაზე“, უნდა იქნენ ომის გათავებამდე დაკავებულნი ამ ტერიტორიის ფარგლებში და ყოველ შემთხვევაში მათ არავითარი საშუალება არ უნდა მიეცეთ სამხედრო მოქმედებებში შემდგომი მონაწილეობისა.

ზედმეტია იმის განმარტება, რომ ისეთი ფაქტები, როგორც გენერალ ერდელის თავისუფალი გასვლა საქართველოდან, ყირიმიდან დენიკინის გენერლების ჩამოსვლა ჯარის მოსაგროვებლად და მათი დაუკავებლობა საქართველოს ტერიტორიაზე; ბოლოს გენერალ ნევადოვსკის სააგიტაციო და მოხალისეთა შესაგროვებლად მუშაობა ფოთში და სხვ.,— ყველაფერი ეს არის **საქართველოს მიერ ნეიტრალიტეტის უდავო დარღვევა მოხალისეთა არმიის სასარგებლოდ და წარმოადგენს მტრულ აქტს მოხალისეთა არმიასთან ომის მდგომარეობაში მყოფ ძალების მიმართ.**

ასეთ პირობებში ეს ძალები და, პირველ ყოვლისა, რევოლიუციონური შავი ზღვის სანაპირო, რომელმაც გაიღო და ეხლაც სწირავს სისხლიან მსხვერპლს დენიკინელებსა და მათ მემკვიდრეებთან ბრძოლაში, იძულებულნი არიან ჩასთვალონ საქართველოს დემოკრატია, მისი ნებისყოფის და ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების წინაალმდეგ, რეაქციის გავლენის წრეში ჩათრეულად, აქედან ყველა გამომდინარე გაუსწორებელ შედეგებით.

შავი ზღვის სანაპიროს განმათავისუფლებელი კომიტეტის წარმომადგენლობა, გზავნის რა ამ მიმართვას ასლებით მთავრობის მეთაურის ნ. ნ. ჟორდანიასა და რესპუბლიკის გენერალ-პროკურორისადმი, სთხოვს საქართველოს დამფუძნებელ კრებას მიღებულ იქნას ზომები აღნიშნულ უფლების მძიმე დარღვევათა გამოსაძიებლად და მათი დაუშვებლობისათვის შემდეგში.

შავი ზღვის სანაპიროს განმათავისუფლებელი კომიტეტის წარმომადგენელი **ვ. ჩაიკინი.**

წარმომადგენლის ამხანაგი **ი. გლოტოვი.**

მენშევიკების და ყველა მათი მომხრეების საყურადღებოდ: ამ მიმართვის ავტორი არ არი კომუნისტი, არამედ „ხალხის ბატონობის, ხალხის უფლებიანობის და სხვა დემოკრატიულ აბდაუბდის ისეთივე აშკარა დამცველი, როგორც რომელიმე მართველი მენშევიკი. ვ. ჩაიკინი სოციალ-რევოლიუციონერია, ერთი სიტყვით, იმათი მეგობარი და მოკეთე, ვისაც გაუგზავნა მოყვანილი მიმართვა. შეიძლება გამოჩნდნენ სკეპტიკები, რომელნიც იტყვიან, რომ ვ. ჩაიკინი ამ შემთხვევაში ანგარიშს ახწორებდა მენშევიკებთან და მათ ცილს სწამებდა, ამიტომ ჩვენ საჭირო მიგვაჩნია სხვა საბუთებიც მოვიყვანოთ შავი ზღვის სანაპიროს განმათავისუფლებელი კომიტეტის წარმომადგენლის მიერ წამოყენებულ ბრალდებათა დამამტკიცებელი.

პირველ ყოვლისა, ჩვენ უნდა ავღნიშნოთ, რომ სამხედრო ლტოლვილთა კომისიის სხდომათა ოქმი 1920 წლის 13 აპრილიდან, გვატყობინებს, რომ მთელი მომწყვდეული მრავალ ათას მოხალისეებს ფოთში იცავდა 7 მილიციონერი. ასეთ პირობებში გასაგები ხდება, რომ დაკავებული თეთრგვარდიელები თანდათან ქრებოდნენ საკონცენტრაციო ბანაკიდან.

ოქმში № 18, 1920 წლის 2 ივლისიდან ჩვენ ვპოულობთ გენერალ არჯევანიძის მოხსენებას „იმაზე, რომ ლტოლვილთა რიცხვი ბანაკში შემცირდა უკანასკნელ დღეებში. ჯარისკაცები სრულიად დაუკითხავად და სათანადო ნებართვის გარეშე გადიან ფოთიდან სხვა და სხვა მიმართულებით, არავინ იცის თუ საითკენ. ნებადაურთველად და ფარულად მიიმალნენ ფოთიდან აგრეთვე მოხალისეთა არმიის უფროსი გენერალი სოკოლოვი და გენერალი ნევადოვი. გენერალმა არჯევანიძემ ეს მოვლენა შეატყობინა სამხედრო სამინისტროს და გენ. მდივანს ბათომში, რათა უკანასკნელმა თვალყური ადევნოს გაქცეულ ლტოლვილებს, თუ ასეთები აღმოჩნდებიან ქალ. ბათომში ფოთის ქალაქის გამგეობის არქივიდან, საქმე № 3, გვ. 365).

ვისი ნებით სამსახურის მიტოვებისათვის ითვლება შრომის დეზერტირათ.

◆ **ახალი წიგნები.** გამოვიდა და იყიდება: შალვა კარმელი—„ბაბილონი“ წიგნი ლექსების. რაჟდენ გვეტაძე—„ღამეები“ მეორე წიგნი ლექსების.

მუშათა კოოპერატივების წარმომადგ. ყრილობა

27 ნოემბერი—დილის სხდომა)

მოხსენებები ადგილებიდან

სურამი.

სურამის მუშათა გაერთიანებულ კოოპერატივის მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. სულიაშვილი.

კოოპერატივის მოწყობას შეუდექით თვენახევრის წინათ. გადაწყვეტილება ამის შესახებ მიღებულ იქნა მუშებისა და მოსამსახურეების საერთო კრებაზე, სადაც airჩია გამგეობა 5 კაცისაგან და სარევიზიო კომისია 3 კაცისაგან. თბილისში გაიგზავნა ამხანაგები დახმარებისა და ინსტრუქციებისათვის. სასურსათო კომისარიატისაგან მიღებულია 10 მილ. მან. ფული და საქონელი. სასურსათო კომისარიატის ფასებზე პროცენტების დამატება შეუძლებელია. სურამში სულ 400 მუშაა, მათგან კოოპერატივის წევრად ჩაეწერა 315.

სიღნაღი.

მომხსენებელი—გ. მ. ხატისიანი.

სიღნაღის კოოპერატივი მოეწყო სექტემბრის დამდეგს, მაგრამ მუშაობა თავიდანვე არ მოხერხდა, რადგანაც გამგეობაში შევიდნენ ამხანაგები ბევრი საქმით დატვირთულნი. ამავე დროს სიღნაღის მაზრა საუკეთესოა დამზადებისათვის. მხოლოდ ნოემბრის დასაწყისში წევრები განთავისუფლდნენ და შეუდგნენ მუშაობას. საორგანიზაციო მუშაობა დაიწყო მუშებისა და მოსამსახურეთა მიმართ მოწოდებით კოოპერატივებში ჩაწერის შესახებ. ჩვენ მივიდეთ ადგილობრივ სასურსათო კომიტეტის საწყობში და შეუდექით ულუფის დარიგებას. ჩვენი საშუალებანი ჯერ უმნიშვნელოა, მაგრამ იმედი გვაქვს მუშათა თვითმოქმედებისა. 15 ნოემბრიდან დაიხურა საბჭოთა სასადილო და პროფკავშირთან გაერთიანებულ კრებაზე გადავწყვიტეთ კოოპერატიულ სასადილოს გახსნა: ისინი კისრულობენ მოწყობის ტეხნიკას, ჩვენ კი მივაწვდით სურსათს.

ზესტაფონი.

ზესტაფონის კოოპერატივის მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. თუთბერიძე.

კოოპერატივის ორგანიზაციას ჩვენ შეუდექით პროფკავშირთან ერთად. ერთ დღეს ჩაეწერა 350 კაცი, და საორგანიზაციო ხანის ბოლოს წევრთა ჩაწერა შევაჩერეთ. 15 ნოემბერს მოვიწვიეთ საერთო კრება და დავამტკიცეთ წესდება და ავირჩიეთ 3 კაცისაგან შემდგარი გამგეობა და 5 კაცისაგან შემდგარი სარევიზიო კომისია. პაი—15,000 მან., საწევრო 1.000 მან. ალვძარით შუამდგომლობა სასურსათო კომისარიატის წინაშე უპროცენტო სესხის მიცემის შესახებ.

თიონეთი.

მომხსენებელი ამხ. გარლინი იტყობინება. რომ თიანეთის კოოპერატივი არსებობს თვენახევარია. პაი—13,000 მან., საწევრო 2,000 მან., გამგეობის წევრთა რიცხვი 5, საერთო წევრთა რიცხვი 300. სასურსათო კომისარიატიდან მივიღეთ ცოტა საქონელი 15 მილიონ მანეთის ნაცვლად. 15 ნოემბრიდან ავიღეთ ჩვენ ხელში მუშათა და მოსამსახურეების სასადილო. თიანეთი დაშორებულია რკინის გზაზე და ეს დიდ გავლენას ახდენს კოოპერატივის მუშაობაზე.

ზუგდიდი.

მომხსენებელი ამხ. შონია ამბობს, თუმცა მუშათა კოოპერატივი მოეწყო 22 ივლისს, მაგრამ მხოლოდ 3 ნოემბერს, როდესაც მოხდა გამგეობის ახალი არჩევნები, ისინი შეუდგნენ პრაქტიკულ მუშაობას. კოოპერატივის წევრთა რიცხვი—889, პაი—5,000 მან. საწევრო—1,000 მან.

ჭიათურა.

ჭიათურის მუშათა კოოპერატივი,—ამბობს ამხ. მიქაძე,—მოეწყო 30 ოქტომბერს, მაგრამ იგი არსებობს ჯერ მხოლოდ ქაღალდზე. სასურსათო კომისარიატიდან ჯერ არაფერი არ მიგვიღია. კოოპერატივში ერთად ჩაეწერა 487 კაცი. არავითარი მუშაობა ჯერ არ დაწყებულა, განზრახულია მხოლოდ დაწყება.

ახალციხე.

ვრცელი მოხსენებით ახალციხის მუშათა კოოპერატივების მუშაობის შესახებ გამოდის ამხანაგი იარნოვი. დეკრეტს მუშათა კოოპერაციის შესახებ დიდი სიხარულით შეხვდნენ ახალ-ციხეში. სასურსათო კომისარიატის ორგანოები სასტიკათ ასრულებდენ მუშების და მოსამსახურეების მომარაგების საქმეს, და უკანასკნელნი გრძნობდენ საჭიროებას თვითონ შედგომოდენ თავიანთ მდგომარეობის გაუმჯობესობას. ფაქტიურად მუშათა კოოპერატივმა დაიწყო მუშაობა ნოემბრის პირველ რიცხვებიდან. ჩაეწერა 500 წევრი. ახალციხე წვრილ ბურჟუაზიული ქალაქია, მუშათა კლასი სუსტია, სულ მუშა და მოსამსახურეები 1500 ოჯახებით კი 6000. პაი იყო დაწესებული 5000, მან. საწევრო 1000 მან. ეწერებოდენ პროფბიუროს საშვალებით. ჩვენ მივიღეთ სასურსათო კომისარიატისაგან განაწილების ფუნქცია. შენობა დავირჩინეთ ოდესღაც არსებულ ქალაქის კოოპერატივისაგან. სასურსათო კომისარიატიდგან მივიღეთ 10 მილიონი მანეთი ფულათ, 1 ვაგონი მარილი და სხვა საქონელი—უმეტესი მათგანი ზღაპრულად იაფ ფასებში. ქვაბები მაგალითად 5—8 ათას მანეთად, როდესაც ბაზარზე ისინი ღირს 100—150 ათასი. საქონელს ფასები დავადევით სპეციალურ კომისიით, რომელიც შესდგებოდა გამგეობის, სარევიზიო კომისიის, პროფბიუროს სასურს. კომიტეტის და სხვათა წარმომადგენლებისაგან. ფასები დავაწესეთ საერთოდ 50 პროც. ნაკლებ ბაზრისაზე—მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, არა წევრთათვის კი 25 პროცენტით ნაკლებ. ჩვენი ფასების სიმცირის გამო ემჩნევა ტენდენცია შეიძინონ ჩვენი საქონელი ბაზარზე გასასყიდლად. ამის წინაალმდეგ ბრძოლა ძნელია, მაგრამ ჩვენ ზოგიერთი ზომები მაინც მივიღეთ. ახალციხის მაზრა მდიდარია სურსათ-სანოვაგით, ფასები დაბალია: კარტოფილი ღირს 14—15 ათასი მან. ფუთი; ხორბალი 80 ათასი, სიმინდი 50 ათასი, სხვა კოოპერატივები არ არის. კერძო ვაჭრობა დაბეგრილია სანიტარულ გადასახადით. ვაჭრები მოგვმართავენ ხოლმე წინადადებით: მოგცემთ თანხას, თქვენ ივაჭრეთ და ჩვენ მოგვეცით პროცენტებიო, მხოლოდ საიდუმლოდო.

ჩვენ, რასაკვირველია, სპეკულიანტებთან ყოველივე შეთანხმებას უარვყოფთ. ამნაირათ მუშკოოპის ოპერაციის განსავითარებლათ ჩვენ გვაქვს ხელშემწყობი პირობები. მაგრამ სურსათის დამზადების გარდა, მუშკოოპისთვის გახსნილია მოქმედების ფართო ასპარეზი ტყის დამზადების საწარმოო დაწესებულებათა ორგანიზაციისა, ხილის გახმობის, ინფუზორიანი მიწის ექსპლოატაციის და სხვისთვის.

აღძრული იყო საკითხი სოფლათ გლეხთა კოოპერატივების მოწყობის შესახებ. მაგრამ გადავსწყვიტეთ უმჯობესია დავიარსოთ ჩვენი მუშკოოპის განყოფილებები. პირველ რიგში განზრახული გვაქვს გავხსნათ განყოფილება ახალ ახალციხეში და აბასთუმანში, უკვე გრძნობენ საჭიროებას ბორჯომის და ახალქალაქის რაიონების მუშკოოპების გაერთიანებისას. უკანასკნელმა არ გამოგზავნა თავისი წარმომადგენელი აქ ყრილობაზე ალბათ იმიტომ, რომ ახალქალაქთან ტელეგრაფის კავშირი გაწყვეტილია. გაერთიანება საჭიროა დამამზადებელ ბაზარზე შეერთებული გამოსვლისთვე ის ადგილობრივი სურსათებზე გადასაცვლელათ, საერთო ტრანსპორტის შესაქმნელათ და სხვა საქმეების დაწყებისათვის. ჩვენ შეგვთავაზეს, მაგალითად, სამი ვაგონი კარტოფილი ძალიან იაფათ, მაგრამ სახსრის უქონლობის გამო, ჩვენ იძულებული ვიყავით უარი გვეთქვა.

ჩვენი ოპერაციის ორი რიგი გაერთიანებულია: დუქანი და საქონლის გაცვლა. დუქანშია პასუხის მგებელი ნოქარი, რომელიც იღებს 350,000 მანეთს თვეში. სხვა საწყობები: მოანგარიშე—300,000 მანეთს, მოლარე 200,000 მანეთს, დანარჩენები 250,000 მანეთს. გამგეობის წევრები ღებულობენ 100,000 მანეთს თვეში. არავითარ ულუფას მოსამსახურეებს ჩვენ არ ვაძლევთ, განზრახული გვაქვს მივსცეთ განსაზღრული პროცენტი მოგებიდან, რომ დავაინტერესოთ კოოპერატივის განვითარებაში.

კოოპერატივთა მუშაკების განთავისუფლება საბჭოთა დაწესებულებების დამოკიდებულებიდან, სადაც ისინი მსახურებენ, ჩვენთვის მნიშვნელოვანი საკითხია და მე ვაყენებ მას აქ საერთო ფორმით. ახლა რიგში სდგას საჭირო საკითხი—კოოპერატივთა სასადილოს ორგანიზაცია. საბჭოთა სასადილო დახურულია და სასურსათო კომისარიატის რწმუნებული გვავალებს ჩვენ კოოპერატივთა საფუძველზე გავხსნათ სასადილო. ჩვენ ამ საქმესთან მივდივართ ფრთხილათ, რადგანაც ვიცით, რომ თბილისშიაც არ განხორციელებულა ეს იდეია, მე პირადათ ვაფერხებ სასადილოს გახსნას, რადგანაც ვშიშობ, რომ ის გადაყლაპავს ჩვენ სახსარს. საჭიროა ვეცადოთ, რომ სასადილოს საკითხი იყოს გადაწყვეტილი საერთო რესპუბლიკის მასშტაბით. თუ სასურსათო კომისარიატს არ შეუძლია სასადილოებს მისცეს სურსათი, დე. მან მოგვცეს ჩვენ სახსარი მის გასახსნელათ.

აძლევს რა პასუხს მრავალ შეკითხვებზე, ამხ. იარნოვი ამბობს: ახალციხიდან ბორჯომამდის ერთი ფუთი საქონლის ჩამოტანა ურმით ღირს 3,000 მანეთი. გამოტანა ჯერ-ჯერობით პრაქტიკულათ არ დაგვიწყია, მაგრამ სასურსათო კომისარიატის რწმუნებულმა გაგვაფრთხილა ჩვენ, რომ მის ნება დაურთველათ ჩვენ არაფრის გამოტანა არ შეგვიძლია, თუმცა რწმუნებული ჩვენ გვეპყრობა გულკეთილათ. მაგრამ ამ საკითხს ჩვენ ვძრავთ, როგორც პრინციპიალურს.

თ ე ლ ა ვ ი

თელავის მუშკოოპის მოქმედების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. კალატოზოვი.

თელავში მუშკოოპის ორგანიზაციაში პროფკავშირების მონაწილეობის მიღება არ ემჩნეოდა. სასურსათო კომისარიატის რწმუნებულმა მოიწვია კრება და განაცხადა, რომ მას სურვილი აქვს დაინახოს მუშკოოპის გამგეობაში ესა და ეს პირები, წინააღმდეგ შემთხვევაში საქონელს არ მისცემს. მაგრამ კომპარტიამ გარიყა პოზიციიდან და აიღო ინიციატორობა თავის ხელში.

12 სექტემბერს უკვე შესდგა მეორე კრება, რომელმაც დაამტკიცა წესდება და ამოირჩია გამგეობა. მაშინვე მუშკოოპმა მიიღო თავის თავზე გამანაწილებელი ფუნქციები, მაგრამ ამ მუშაობისთვის სასურსათო კომისარიატიდან არაფერს არ ღებულობდა ხელშეკრულება გამომუშავებულია, მაგრამ სასურსათო სამართველოს კომისარი ხელმოწერაზე ყოყმანობს. ჩვენ ხელშეკრულებით ვთხოულობთ მხოლოთ 5 პროც. განაწილებულ სურსათიდან. ფორმალური მიზეზებით სასურსათო კომისარიატი სესხის მოცემას დიდხანს აფერხებდა. ბოლოს მივიღეთ 10 მილიონი მანეთი ფულათ. შემდეგ მივიღეთ სასურსათო კომისარიატის რწმუნებულისაგან საქონელი, რომლის შესაფასებლათ შევქმენით საეკვივალენტო კომისია. ფუთ ხორბლის 100 ათას მანეთათ ღირებულობის მიხედვით საქონელი შეფასებულ იქმნა 195 მილიონ მანეთად.

ამჟამათ ჩვენ უკვე გვაქვს 500 ფუთი სიმინდი ჩვენი საკუთარ საშუალებით დამზადებული. აგრეთვე ჩვენ მივიღეთ პატარა ტრანსპორტი კომუნალურ მეურნეობიდან, რომელიც მას საიმისოთ არაფრით დაჰკლებია.

ეკონომიურ განყოფილებიდან ჩვენ მივიღეთ ფულზე 200 რწყვილი ფეხსაცმელი და 100 რწყვილი ჩუსტი, რომელიც უკვე გავყიდეთ.

ურთი-ერთ დამოკიდებულება საერთო სამოქალაქო კოოპერაციასთან ჩვენში სრულიად ნორმალურია. 11 ოქტომბერს მუშკოოპი შევიდა „კახკავშირში“—კახეთის სარაიონო კოოპერატივთა კავშირში.— საკუთარი წარმოების ორგანიზაციის მიზნით შევისყიდეთ ერთ მილიონ მანეთად საპნის ქარხანა. რომ უზრუნველვყოთ ჩვენი თავი ნედლი მასალით, ჩვენ მივმართეთ რევკომს, გადმოგვცეს სასაკლაო იჯარით—ფულზე. ჩვენ კი განზრახული გვაქვს დავაწესოთ სასაკლაოზე გადასახადი ნატურით—ქონით. მაგრამ რევკომი გაჯიუტდა. ასევე მოხდა ფურნის გამოც. რევკომი თავიდანვე შეუდგა ფურნის აშენებას, დახარჯა ამაზე 10 მილიონი მანეთი, მაგრამ შენობა ვერ დაასრულა. მის მოსათავებლათ საჭიროა კიდევ 8 მილიონ მანეთის დახარჯვა. ჩვენ ვსთხოვეთ, დაეთმო ჩვენთვის ფურნე და გვინდოდა საკუთარი ძალებით მოგვეთავებინა ის. რევკომმა კი მოითხოვა ჩვენგან 10 მილიონ მანეთის ანაზღაურება.

საერთოთ რევკომის და საბჭოთა დაწესებულებების დამოკიდებულება ჩვენთან ვეღ არის სასურველი.

სასადილოების შესახებ საქმე სდგას ამნაირათ: სასურსათო კომისარიატის რწმუნებული აცხადებს, რომ რაკი ჩვენ ვიღებთ ჩვენ თავზე განაწილებული ფუნქციები, მაშინ ჩვენ არა ვართ ვალდებული მოვამარაგოთ სურსათით სასადილო, საავადმყოფო და სხვა. ჩვენ ეს, რასაკვირველია, უარვყავით. შემდეგ მოვიდა დეკრეტი საბჭოთა სასადილოების დახურვის შესახებ, და იმაზე, რომ სასურსათო კომისარიატის რწმუნებული უნდა დაეხმაროს კოოპერატივთა საფუძველზე სასადილოების გახსნას. ამ დეკრეტს რწმუნებული ხსნის, როგორც ვალდებულებას თითონ მუშკოოპის სასადილოს გახსნის შესახებ. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ არსებულ პატარა ჯამაგირის და ხელფასის დროს სასადილოების გახსნა უაზრობაა.

პირველ შესაძლებლობისსათანავე ეს იქნება გაკეთებული და ჩვენ იმედი გვაქვს წარმატებისა.

სპეკულიანტებმა ჩვენც შეგვთავაზეს თავისი კაპიტალი და სამსახური მაგრამ ჩვენ ეს უარვყავით.

ჩვენი მთავარი ამოცანაა ამჟამათ სამრეწველო წარმოებათა განვითარება.

გაზაფხულზე საავარაკო ადგილებში ვფიქრობთ სანატორიის გახსნას რამოდენიმე კაცისათვის.

მუშკოოპში წევრთა რიცხვი უდრის 650, პაი—10,000 მანეთია, შესასვლელი გადასახადი 2 ათასი მანეთი.

წარმოებითი პროფკავშირებში

ფაბრიკების, ქარხნების და ადგილობრივ კომიტეტების კავშირის ცენტრალურ გამგეობასთან ერთად.

28 ნოემბერს მუშათა სასახლის დიდ დარბაზში შესდგა პროფსაბჭოს გაფართოებული პლენუმი, რომელზედაც ორგანიზაციულ აღმშენებლობის მორიგ საკითხების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ოდილოვაძე:

„ამხანაგებო, ორგანიზაციული კავშირების ამოცანები იცვლებიან იმდენათ, რამდენათაც იცვლება თვით სამეურნეო ორგანოების სტრუქტურა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების სამეურნეო და სხვა ორგანოთა ფორმის გაურკვევლობის და დაუმთავრებლობის გამო პროფმოძრაობის ორგანიზაციული ფორმები აუცილებლათ ატარებენ სხვა და სხვა ხასიათს. ხოლო საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებამ ერთის მხრივ და ახალი ეკონომიური პოლიტიკის კურსის აღებამ უნდა გამოიწვიოს საქართველოში პროფმოძრაობის მიერ საორგანიზაციო აღმშენებლობის ახალ ფორმების წამოყენება. რომელიც განირჩევა გარკვეულობით და ეკონომიურ პოლიტიკის პირობებთან შეწყობით. რასაკვირველია, კავშირთა აღმშენებლობის ძირითად პრინციპით მომავალშიაც წარმოებითი პრინციპი იქნება. ამ ჟამად საქართველოს პროფკავშირების წინაშე განზრახულ სრულიად საქართველოს ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით, სდგას ამოცანა კონფერენციათა მთელი რიგის გატარებისა.

კავშირთა ორგანოების ურთი-ერთი დამოკიდებულება.

გარკვეულათ აღინიშნა ცენტრალურ სამართველოების ტენდენცია მოიპოვოს გავლენის უფლება სამაზრო ორგანიზაციებზე. ეს საკითხი დეტალურათ არ იყო განხილული და ახლა მას უნდა ეყოს დეტალიზაცია. აუცილებლათ მართალია, რომ საერთაშორისო კავშირების ორგანოები უნდა გადაიქცენ არსებულ ტერიტორიის ხელმძღვანელ ორგანიზაციებათ. ამიტომ ყველა ადგილობრივ საერთა-შორისო კავშირთა ორგანიზაციების განკარგულება უნდა იყოს სავალდებულო. ცენტრალურ სამართველოდან მოსული ცირკულიარი და სხვა განკარგულებანი და მოწონებული საქ. პროფკავშირის საბჭოს მიერ, რასაკვირველია, არ შეიძლება იქმნან შეცვლილი, მაგრამ ცირკულიარები და განკარგულებანი, რომელთაც არ მიუღიათ ასეთი სანქციები, შეიძლება იქმნან შეჩერებული, რაც უნდა ეცნობოს, როგორც ცენტრალურ სამართველოებს, აგრეთვე საქ. პროფკავშირის საბჭოს.

საკავშირო ინფორმაცია.

ერთი უდიდესი დეფექტი ჩვენი მუშაობისა არის კავშირის უქონლობა, რაც ასე საჭიროა საკავშირო მუშაობისათვის. ინსტრუქტორები იგზავნებოდენ ცოტა, ხოლო იმ შემთხვევებშიაც კი, როდესაც იგზავნებოდენ, აღწევდენ ძალიან სუსტ შედეგებს. საჭიროა, რომ პასუხის მგებელი მუშაკნი, პრეზიდიუმის წევრები რეგულიარულათ აწარმოებდენ ჩამოვლას და რომ პერიოდიულათ, თუნდაც 2 თვეში ერთჯელ, ეწყობოდეს ცენტრალური მართველობის გაფართოებული სხდომები, რომ თვითეულ სამაზრო განყოფილებას ყავდეს თავისი წარმომადგენელი.

ფულით მომარაგება.

ეს საკითხი სრულიათ არ იყო გადაჭრილი. ზოგიერთი ცენტრალური სამართველოები თხოულობდა სამაზრო განყოფილებიდან საწევრო შემოსატანს. რადგანაც განზრახვა აქვთ სალაროს ცენტრალიზაცია მოახდინონ ამისთვის საჭიროა, რომ ყველა საწევრო შემოსატანი გადაეცემოდეს ხოლმე სამაზრო პროფბიუროს, რომელიც დააკმაყოფილებს სამაზრო განყოფილებებს დამტკიცებულ ხარჯთ-აღრიცხვის ფარგლებში. ყველა შემოსავლიდან სამაზრო პროფბიურო 10 პროცენტს აძლევს საქართველოს პროფკავშირის საბჭოს. ცენტრალური სამართველოება ყველა შემოსავალს იტოვებენ თავისთვის, გარდა 10 პროცენტისა, რომელიც აგრეთვე ეძლევა საქ. პროფკავშირის საბჭოს. დღევანდლამდის ყველა საწევრო შემოსატანი ერთმეოდით წევრებს მხოლოთ ფულის შემოსავლიდან, ახლა კი საკავშირო ორგანოების შენახვის ახალ საფუძველზე გადასვლით საწევრო შემოსატანის ანგარიშზე, საჭიროა სწარმოებდეს 2 პროცენტის გადახდა ყოველ გვარ ხელფასიდან, როგორც ფულიდან, აგრეთვე ნატურიდან. როგორც წესი, გაერთიანებულ წარმოებებში გადახდა უნდა სწარმოებდეს ქარხნის გამგეობის მიერ, კერძო დაწესებულებებში კი უნდა მიენდოს ფაბრიკების კომიტეტებს.

კავშირების განსაზღვრა.

ყველა წვრილი დამხმარე წარმოებაში, რომლებიც ემსახურებიან ძირითად წარმოებებს, აგრეთვე ის წვრილი წარმოებანი, რომლებიც უშუალოთ ემსახურებიან მთავარ წარმოების მუშა მოსამსახურეებს, შედიან იმავე კავშირში, სადაც იმყოფებიან ძირითადი წარმოების მუშები. გამონაკლის შეადგენენ ჯერ-ჯერობით განათლების, ხელოვნების და მედიკო-სანიტარული შრომის მუშაკნი, ზოგჯერ ეს ხდება ტრანსპორტის მომუშავეთათვისაც.

კერძო წარმოების მუშათა ორგანიზაცია.

იმ მუშებისათვის, რომელნიც კერძო წარმოებებში მუშაობენ, გატარებულ უნდა იქმნას კოლექტიური ხელშეკრულებანი, რომელიც დაიდება ერთის მხრით ცენტრალურ გამგეობისა და წარმოების წარმომადგენელთა მიერ. კოლექტიური ხელშეკრულების ძირითადი მნიშვნელობა არის მუშების მდგომარეობა, ტარიფის გამარტივება და სხვ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პროლეტარიატის წმინდა—გლეხობრივი სახის შენახვას, ამიტომ უნდა შეწყდეს ყველა შინაური ხელოსანთა მიღება, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში სარგებლობენ დაქირავებულ შრომით.

საჭიროა მოკლე დროში მოხდეს შინაურ ხელოსანთა გადანუსხვა გაწმენდის მიზნით. არტელთა შორის უნდა გამოირიცხოს ისეთნი, რომელნიც სამეურნეო ორგანოს არ აბარებენ თავისი წარმოების ნაყოფს.

პროფკავშირების აღრიცხვა.

მუშაობის ერთ უმთავრეს შემაფერხებელ მიზეზად ითვლება პროფკავშირების პასუხისმგებელ მომუშავეთა რაოდენობის სრული არ ცოდნა.

საჭიროა მოხდეს სასტიკი აღრიცხვა ყველა ძალებისა, რაიც საშუალებას მოგვცემს მათ კავშირებში და მაზრებში განაწილებისას, რასაც გვიკარნახებს დღევანდელი ვითარება.

პროფესიონალური მუშაობის გაცხოველება.

ცენტრების გამაგრებასთან ერთად მთელი სიმძიმე მუშაობისა ამჟამად გადატანილ უნდა იქნას ფართო მასებში და მუშაობის კურსი მიმართული უნდა იქმნას უმაღლეს ორგანოების ფაბრიკა ქარხნების მასებთან დაახლოვებისაკენ. მუშათა ფართე წყებათა გარდაქმნა და სამეურნეო სამუშაოში მათი ჩაბმა შესაძლებელია მიღწეულ იქნას მხოლოთ თვით მასის ამ მუშაობაში უშუალო მონაწილეობით.

დაბალ იაჩეიკის მთელი მუშაობა მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული საერთო საკავშირო მუშაობასთან ცოცხალი კავშირის დამყარების საშვალებით, რაიც გამოიხატება კავშირთა წარმომადგენლების დაბალ იაჩეიკებში რეგულიარული დასწრებით.

საერთოდ საქარხნო საფაბრიკო კომიტეტები არ უნდა გადაიქცნენ ადმინისტრატიულ ტეხნიკურ ორგანოებათ, არამედ უნდა იქმნან ჩაბმულნი მუშათა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებელ სამუშაოში შრომის ნორმალურ პირობებში ჩასაყენებლად, მუშა ძალის გამოსაყენებლად და მათ გასაწვრთნელათ.

კავშირთა გაერთიანება.

რიგში სდგას კითხვა სოციალისტური კულტურისა და ხელოვნების მუშაკთა კავშირების გაერთიანებისა. ამ მიზნით 15 დეკემბრისთვის მოწვეული იქნება აღნიშნულ კავშირთა წარმომადგენელთა ყრილობა. შეერთებულ უნდა იქმნას აგრეთვე მკვებავთა და მეთამბაქოეთა კავშირები.

რეზოლიუცია.

ამხ. ოდილავაძის მოხსენების გამო რეზოლიუციათ მიღებულ იქმნა მისივე მოხსენების ტეზისები.

ამხ. დოგუნოვის მოხსენება მელითონეთა და ტრანსპორტზე მომუშავეთა ცენტრალური გამგეობის მოღვაწეობის შესახებ.

კავშირში ითვლება 3370 წევრი, რომელთაგან მელითონეა 1655, ხოლო ტრანსპორტზე მომუშავე 1715. ადგილებიდან მიღებულია 28 ოქმი საერთო კრებებისა, 17 ოქმი საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტების სხდომებისა და რამოდენიმე [illegible] სხვა და სხვა კომისიებისა. მიღებულ ოქმებში სრულიად დაუმტკიცებელია, 3, ნაწილობრივ—6. მიზეზი გაურკვევლობაა. მუშაობა პროვინციაში სუსტია.

მრეწველობის ახალ კომერციულ საფუძველზე გადასვლის გამო, ეკონომიური განყოფილება ქარხნის გამგესთან ერთად ასრულებს საჭირო მასალების დამუშავებას. კვალიფიციური ძალების მოსაწოდებლად შრომის სახალხო კომისარიატში შესდგა ორი თათბირი იმ საკითხების შესახებ რომელიც დაკავშირებულია მელითონეთა მობილიზაციის გამოცხადებასთან.

კულტურულ განყოფილების მუშაობა ყრილობის შემდეგ შეიცვალა. პირველყოვლისა მოწყობილ იქმნა ელექტრო-ტეხნიკური და სამანქანო—აღმშენებლობის კურსები. სახელმწიფო პოლიტეხნიკუმის მუშათა ფაკულტეტზე გაგზავნილია 116 წევრი კავშირისა, რომელთა შორის 95 მუშაა (82 პროც.) მოსპობილია წერა-კითვის უცოდინარობა არსენალში, ავტომობილთა გუნდში, ქარავნის სახელოსნოებში. გახსნილია 1-ლ საფეხურის 7 სკოლა. მე-2 საფეხურისა—3 რიგშია შოფერის კურსების გახსნა. შრომის დაცვის განყოფილებამ ფაქტიურად მუშაობა დაიწყო სექტემბრის დამლევიდან. ამ დროის განმავლობაში მოეწყო ყველგან შრომის დაცვის კომისიები, რამაც შეძლება მოგვცა მცირე წლოვანთა შრომის მოწესრიგებისა.

საბინაო სამეულის ხელში მყოფ 15 სახლში 752 ბინით, ჩასახლებულია 245 ოჯახი 861 სულისაგან შემდგარი. სარაიონო ბინებში ჩასახლებული 60 ოჯახი 240 სულისაგან შემდგარი.

გადმოსახლებულია მუშათა სახლებიდან 140 ოჯახი დაახლოვებით 500 სულისაგან შემდგარი.

მომარაგების ქვეგანყოფილებიდან სექტემბერში მიღებულია 500 წყვილი ფეხსაცმელი, რომლიდანაც 125 წყვილი შენახულია ხელუხლებლად, ხოლო დანარჩენი დარიგებულია. 150 ბუშლატი განაწილებულია დარაჯებს შორის. შესაკეთებლად არის მიცემული 220 წყვილი. დამზადებულია 198 კუბ. საჟენი შეშა. გატარებულია ნორმა კერძო წარმოებათა მუშების დაკმაყოფილებისა, რომლის თანახმად მწარმოებლები ვალდებულნი არიან 6 თვის განმავლობაში მისცენ მუშებს წყვილი ფეხსაცმელი., ტანისამოსი, ერთი-მეოთხედი საჟენი შეშა და 1 გ. საპონი ყოველთვიურად.

შრომის მომწესრიგებელ განყოფილების მიერ გამომუშავებულია ელექტრონების სადგურებისთვის პრემიალური სისტემა.

მელითონეთა და ტრანსპორტზე მომუშავეთა ცენტრალური გამგეობის მოღვაწეობის შესახებ მოხსენების გამო პლენუმმა მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც ცენტრალური გამგეობის მუშაობა აღიარებულია დამაკმაყოფილებლად.

სიგვიანისა გამო დანარჩენი კითხვები გადადებულ იქმნა შემდეგი სხდომისათვის.

სხდომა იხურება ინტერნაციონალის სიმღერით.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1-ლ რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი »ნაძალადევი« ტელ. 1—33.

— მე-2-რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 37. ტელ. 5—69.

— მე-3-მე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ხე რაიონის ბიურო—ოლღას ქ. 29 »მუშათა კლუბის« შენობაში. 9—52.

— მე-5-თე რაიონის ბიურო—აბანოს ქუჩა.

— საქ. ახალგაზ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღებიან მხოლოდ ნაშუადღევის 2 საათამდის.

პარტიული

— სამშაბათს, 5 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, პროფსაბჭოს პატარა დარბაზში (1 სართული) დანიშნულია განათლების მუშაკთა კავშირის კომფრაქციის კრება.

თანახმად პარტიულ დისციპლინისა, ამხანაგების (პარტ. წევრები და კანდიდატები).

დასწრება სავალდებულოა.

ფრაქც. მდივანი **ი. მიქაძე.**

— სახელმწიფო შენობათა კომიტეტის კოლეგია ამით აცხადებს, რომ ა. წ. ორშაბათს 4 დეკემბერს არქიტექტ. ალმშენ. შენობაში მოხდება ბადიაურის სახელმწიფო წისქვილის მოსათავებელი მუშაობის იჯარით გაცემა საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველები უნდა გამოცხადდენ არქიტ. ალმშენებ. ბინაზე სერგიას ქ. № 8) ა. წ. 4 დეკემბერს დილის 11 საათზე.

საბჭოთა

— ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო ამით აცხადებს, რომ სტატისტიკური კურსები გახსნილი იქნება ამა წლის ხუთ დეკემბერს. ყველა იმ პირთ, რომლებმაც შემოიტანეს თხოვნა კურსებზე ჩარიცხვის შესახებ, შეუძლიათ ცნობების მიღება ყოველ დღე 12—1 საათამდე ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს შენობაში ბროსეს ქუჩა № 4).

— თბილისის კომიტეტთან არსებული ქალთა განყ. მიერ დანიშნული მიტინგი კონცერტი 4 დეკემბრისთვის 12 საათზე, არ შესდგება.

ეროვნული

საქ. წითელი ახალგაზრდობის ფურცელი № 32

ორგანო საქართველოს ახალგ. კომუნ. კავშირის ცენტრალური და თბილისის კომიტეტისა

თბილისის საბჭოს არჩევნები

ჩვენ ვიმყოფებით საბჭოთა რესპუბლიკაში ე. ი. სადაც თვით მშრომელნ., განაგებენ თავიანთ თავს, როდესაც ქალაქის და სოფლის მშრომელი, დაჩაგრული, ღარიბი ნაწილი საზოგადოებისა თვით სჭედენ თავის ბედს, სახელდობრ თავიანთ წარმომადგენლების, დეპუტატების საშუალებით განაგებენ ამა თუ იმ ქვეყანას, ეს არის საბჭოები, მუშათა და გლეხთა დეპუტატებისა; ისინი არა ახალი დ არა სამი ოთხი წლის მოვლენაა, არამედ იგი კარგა ხნით ცნობილია. რუსეთის პირველ რევოლიუციის წლებში ვხედავთ ასეთ საბჭოებს. პირველად ისინი იწოდებიან მუშათა დეპუტატების საბჭოებათ, რადგანაც ყველაზე უწინ მისი შედგენა, მისი აუცილებლობათ ცნობა თვით მუშებისაგან, პროლეტარიატისაგან წამოიჭრა. შემდეგ რევოლიუციონური გლეხობაც უთანხმდება ასეთ ფორმას, და ვხვდებით მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს, რომლებიც ფაქტიურად წარმომადგენელნი და ინტერესის დამცველნი არიან გაყვლეფილ კლასებისა.

ამ რევოლიუციის დროს ასეთმა საბჭოებმა დიდი როლი ითამაშა ცარიზმთან და ბურჟუაზიული სამყაროს ყოველგვარ უსამართლობასთან ბრძოლაში. 1905 წლიდან ასეთმა ფორმამ მშრომელთა წარმომადგენლობისამთან და თანობით პოპულიარობა მოიპოვა და ბოლოს და ბოლოს საბჭოები იქნა აღიარებული საუკეთესო საშუალებათ მუშათა კლასისთვის თავის მოთხოვნილებების ცხოვრებაში გასატარებლათ. 1905 წლიდან რუსეთის მარქსისტები (მათ შორის მენშევიკებიც) აღიარებდენ ერთ-ერთ ფორმათ სახელმწიფოებრიობისა, მუშათა კლასის გამარჯვების, სოციალისტური რევოლიუციის, მოხდენის შემდეგ **პროლეტარიატის დიქტატურას.** მაგრამ არც ერთმა მაშინდელმა მარქსისტმა არ იცოდა დანამდვილებით თუ როგორ ფორმაში ჩამოისხმებოდა, რა სახეს მიიღებდა თვით პროლეტარიატის დიქტატურა. მხოლოდ 1917 წლის შემდეგ რუსეთის კომუნისტურ პარტიის მიერ ცნობილ და მიღებულ იქმნა საბჭოები, საბჭოთა სისტემა სახელმწიფოებრივ ფორმათ დიქტატურისა. საბჭოებმა დროებით მთავრობის დროს დიდი ავტორიტეტი და ნდობა დაიმსახურა მშრომელთა მასსებისაგან.

მუშათა, გლეხთა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოები, აი ყველაზე მეტი ავტორიტეტული ორგანიზაციები მაშინ. მის სიდიადეს და მნიშვნელობას ვერც მენშევიკები უარჰყოფდენ და ყველა ცდილობდა საბჭოებში გაბატონებას, მის დაპყრობას, მისი პატივისცემის დამსახურებას. ეს კარგად ესმოდა თვით ამ საბჭოების შემადგენელ ნაწილებს, და ისინიც თვლიდენ ამ თავის გაერთიანებას.

საუკეთესო საბრძოლველ საშუალებათ გაბატონებულ კლასების მიმართ ნამდვილათ არსებული დროებითი მთავრობის ხელმძღვანელნი დაწყებული კადეტებიდან და გათავებული მენშევიკებით საქმით ცდილობდენ როგორმე საბჭოების დამცირებას და მის უკანა რიგში მოთავსებას. ასეთი ცდა მათ მთელი 8 თვის განმავლობაში ბევრჯერ უქნიათ, მაგრამ ყოველთვის უკან დახეულან, ყოველთვის მათ წინ დახდომია ორგანიზაციულათ დარაზმულნი მუშების, გლეხების და ჯარის კაცთა წარმომადგენელნი და მათი უკან მდგომი, მათი ზურგის გამამაგრებელი, ამომრჩეველი მასსა. ყველაზე მეტი სიმპატია და ნდობა საბჭოებში დაიმსახურა ბოლშევიკურმა პარტიამ, რომელიც მთელი თავისი ძალღონით ხელს უწყობდა მათ გამაგრებას და განვითარებას. ამიტომ იყო სწორეთ, რომ მალე საბჭოები გადაიქცენ მათ დასაყრდნობ წერტილათ, ის ცნობილი იქნა იმ ძალათ, რომელიც ეჭვს გარეშე, რომ ადრე თუ გვიან დასცემდა შემთანხმებელთა მთავრობას, დაამხობდა რუსეთის წვრილი ბურჟუაზიული პარტიების ბატონობას და თავის ხელისუფლებას გამოაცხადებდა. ყოველივე ამის გამო კომუნისტურმა პარტიამ **საბჭოები** სცნო სპეციფიურ ფორმათ პროლეტარიატის დიქტატურის დროს. საბჭოებმა, მათმა ორგანიზაციამ, შეკავშირებამ და სიძლიერემ დაამხო დროებითი მთავრობა და მის ნანგრევებზე თავისი ბატონობა გამოაცხადა. აქედან წარმოსდგა საბჭოთა რესპუბლიკა, საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც ოთხი წელია განაგებს რუსეთს, და მიიყვანა ის დღევანდელ მდგომარეობამდე. საქართველოში ამდენ ხანს ფაქტიურად არ არსებობდა საბჭოთა სისტემა, ისე როგორც ამას შემდეგში დავინახავთ, და ეს იყო სწორეთ, რომ ალაპარიკებდა ამდენ ხანს კომუნისტური პარტიის მტრებს ყოველ ბანაკიდან, რომ „დაგვანახეთ თქვენი საბჭოთა მთავრობა“, დავანახეთ ეს საბჭოები. დღეს ისინი არ არსებობენ, დღეს არჩეული ხალხი არ განაგებს ქვეყანას, დღეს რევკომებია, დანიშვნითი წესიაო“. მართლაც საბჭოების უქონლობა საკმაო სადემაგოგიო მასალას აძლევდა საბჭოთა ხელისუფლების მტრებს. დღეს დადგა დრო, მომწიფდა პირობები, დალაგდა ყოველივე ისე, რომ შესაძლოა მოესპოთ დანიშვნითი წესი, რომელიც აუცილებელი იყო სოციალისტურ რევოლიუციის პირველ ხანებში, დღეს ეს მრჩევლები ფიქრობენ სულ სხვა მხრივ, რათა საბჭოების პრესტიჟი დასცენ, მას ხელი შეუშალონ. თბილისის ქალაქის საბჭოს არჩევნები ხდება, რამოდენიმე დღის შემდეგ თბილისის რევკომს, შესცვლის მთელი თბილისის პროლეტარიატის წარმომადგენლები, მათი საიმედო დეპუტატები, პირველათ თბილისი გახდება ღირსი, რათა მის ბედს, მის ავ—კარგს განაგონ თბილისის მშრომელმა მასსამ. „სამწუხაროა“ ერთი ფაქტი, სახელდობრ ის, რომ თბილისის საბჭოში მზგავსად ხატისოვების და ჩხიკვიშვილების დროისა არ ექნებათ ადგილი ამ ქალაქის სპეკულიანტების, ბურჟუაზიის წარმომადგენლებს. ისინი შორს გარიყულნი დარჩებიან თბილისის მართველობას, მის მეთაურობიდან, საბჭოდან. მაგრამ რას გააწყობ, ასეთია საბჭოთა კონსტიტუცია, რომელიც ღაღადებს—ყოველი მოქალაქე, რომელსაც კი შესრულებია 18 წელი, მიუხედავათ სქესისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა (მაგრამ მიხედვით მათი ქონებრივი მდგომარეობისა იღებს უშუალო მონაწილეობას ყოველგვარ არჩევნებში. ხმის მიცემის უფლება ეძლევა მხოლოთ მას, ვინც არ ეწევა, რა ფორმითაც არ უნდა იყოს ეს, **სხვისი შრომის ექსპლოატაციას.** ასეთია საერთოდ სოციალისტური კანონმდებლობა, სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია, მისი უფლებები. თბილისის მშრომელი კლასი აირჩევს თავის წარმომადგენლებს, თავისი ინტერესის დამცველს, მასთან ჭირში და ლხინში მყოფს, მის გვერდში მდგარ, მისი უკეთესი მომავლის გამომჭედს—და ეს უნდა იქნეს კომუნისტური პარტია. მაშ ამხანაგებო მივხედოთ არჩევნებს და დავანახოთ თბილისის პროლეტარიატს საქმის ნამდვილი ვითარება. ჩვენმა კავშირმა აქაც შესაფერი როლი უნდა ითამაშოს.

დავ—გონი.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაცია

ამ რამოდენიმე დღის წინეთ გავრცელებულმა ხმამ ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ, დიდი აურ-ზაური, მითქმა-მოთქმა და ვინ მოსთვლის კიდევ რამოდენი დამახინჯება და სხვა გამოიწვია საბჭოთა რესპუბლიკის ჩვეულებრივ მოწინააღმდეგეთა ბანაკში. ფედერაციის მოწინააღმდეგენი რამოდენიმეთ იყოფიან ორ ბანაკათ, რომლებიც ორ სხვა და სხვა გამოსავალ გზას მიყვებიან. როდესაც ეს ვაჟბატონები ილაშქრებენ ფედერაციის წინააღმდეგ, უმთავრესად აღნიშნავენ ერთ „ნაკლულევანებას“ სახელდობრ თუ რისთვის თავისი გადაწყვეტილება ფედერაციის შესახებ გამოიტანა კავბიურომ და არა სხვა ვინმემო? ჩვენ ვიწყებთ აქედან, რადგან სწორეთ ამ მუხლიდან იხვევენ მოწინააღმდეგენი ხელზე ფედერაციის საკითხს: რაშია საქმე, ვინ არის კავშირაო, იციან თუ არა მათ ეს! აშკარაა, რომ არ იციან, ვერ იცნობენ, არ აქვთ ნათელი წარმოდგენა მასზე.

კავშირის ბიურო რ. კ. პ. ც. კომიტეტისა არის, როგორც ვთქვით, ამიერ-კავკასიის კომუნისტური პარტიების უმაღლესი ორგანო. ის წარმოადგენს კავკასიის კ. პ. ცენტრალურ კომიტეტის წარმომადგენლების ორგანოს და არა სხვა რომელიმეს, ის მოქმედებს ისე როგორც ეს კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს მოუხდება, ისე როგორც მოითხოვს ამას ხსენებულ რესპუბლიკების სასიცოცხლო ინტერესები. ეს ორგანო კავკასიის ღვიძლი შვილია და სავსებით ერთგულათ ემსახურება მის მშრომელ მასას. მისი სიტყვა, მისი მოქმედება გადაწყვეტილება, ეს არავითარი არა ბუნებრივი, უადგილო არ არის, არამედ მისი ყოველი ნაბიჯი მოფიქრებულია, სინამდვილესთან დაახლოვებულია და აუცილებელი მოთხოვნილებაა, იმ მასსის რომლის ინტერესებს ის ემსახურება. ამიტომ მისი რეზოლიუცია ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის აუცილებლობაზე, სწორი და მოფიქრებული ნაბიჯი არის. ეს არის უბრალო ფორმალური მხარე რომელზედაც თუ იოტის ოდენა წარმოდგენა მაინც ქონდათ მოწინააღმდეგეებს ამ ჯურის ლაპარაკი არ უნდა დაეწყოთ, ეხლა რაც შეეხება თვით პრინციპს ფედერაციისას, საჭიროა თუ არა მართლა ის დღევანდელ ვითარებაში, დღევანდელ რთულ სოციალურ ურთიერთობაში, საბჭოთა ფედერაციის განვითარების ამ პერიოდში. ჩვენ ზემოთ ვთქვით, რომ ფედერაციის მოწინააღმდეგენი ორ ბანაკად იყოფიან. გაიძახიან ყოველ ფეხის ნაბიჯზე: ფედერაციის აღიარება ეს ნიშნავს საქართველოს სუვერენობის გაუქმებას, მისი დამოუკიდებლობის გაქარწყლებას, ფედერაცია უსაშინელეს მტრათ უნდა იქნეს მიჩნეული დღეს, და მისი აღიარება ყოვლათ შეუძლებელათ. მეორენი, ვერ უარყოფენ ვითომდა ფედერაციას, უფრო შორს მიდიან პირველ ჯგუფზე.

ესენი ვერ შერიგებიან, როგორც პირველნი იმ აზრს, იმ შესაძლებლობას, რომ დასაშვებია და მოხერხდება, ამიერ-კავკასიის მშრომელებმა ხელიხელ ჩაკიდებული, ძმურათ და მშვიდობიანათ იცხოვრონ, და მოითხოვენ არა ამიერ-კავკასიის ფედერატიულ კავშირს, არამედ უშუალო დაკავშირებას რუსეთთან. თუ რამდენათ უსაფუძვლოა და დამახინჯებული ასეთი შეხედულება, ეს ბევრჯერ აღუნიშნავთ და ვიმეორებთ, რომ ეს არის ნიღაბ-ჩამოფარებული ყველაზე მეტათ საშიშარი ნაციონალიზმი, არა გადაჭარბებული ვითომდა „ინტერნაციონალიზმი“, და მასაც როგორ პირველების არგუმენტს ზურგი უნდა შევაქციოთ და ერთხელ და სამუდამოთ ვამხილოთ ის ფარული სიძულვილი ჩვენი რესპუბლიკის მეზობელ ერებისადმი, ის ფარული შოვინიზმი და მოუთმენელი ნაციონალიზმი, რომელსაც ეწევიან ფედერაციის ყველა მტრები. ვიმეორებთ, ერთად ერთი გზა, ერთად ერთი საშუალება ამიერ-კავკასიის ერების დაასახლოვებლათ, მათ შორის არსებულ მიუკარებლობის საბოლოო აღმოსაფხვრელათ, სიძულვილის მოსასპობათ, არის ფედერაცია.

ეს ღრმათ შეიგნო სამივე რესპუბლიკის მშრომელმა მასებმა და კიდეც გამოეხმაურენ მას. ეს ვერ შეუგნია, არც უნდა შეიგნოს ამ ქვეყნების ნაციონალისტებმა, მშრომელთა გამთიშველებმა.

საკითხი დღეს ისე სდგას, რომ ამ ნაბიჯს ყველა უნდა გამოეხმაუროს, ის ყველამ უნდა სცნოს აუცილებლათ. როგორ მოვიქცეთ ამ შემთხვევაში, ჩვენ, კომუნისტური ახალგაზრდობა? პასუხი მხოლოდ ერთია, სულით და გულით და მთელი ჩვენი მონდომილობით მხარი უნდა დაუჭიროთ მას. თბილისის ორგანიზაცია და მისი ხელმძღვანელები დიდი სიხარულით შეხვდნენ ამ აქტს. კომუნისტური ახალგაზრდობა ყველაზე მეტათ დაინტერესებული, ამიერ-კავკასიის მშრომელთათვის კეთილდღეობის მოსაპოებლათ და ძირშივე ჩასახშობათ იმ დაუდევრობისა, რომელიც მთელი საუკუნოებით ინერგებოდა მათ შორის. ამ მხრივ ჯერ კიდევ მიმდინარე წლის სექტემბერში სთქვა თავისი ავტორიტეტული სიტყვა ამიერ-კავკასიის და კერძოთ საქართველოს კომუნისტურმა კავშირმა, რომ შეთანხმებულ, ნაყოფიერ მუშაობისთვის საჭიროა, რაც შეიძლება მეტი დაახლოვება, შეთანხმება მოქმედების კავკასიის რესპუბლიკების კავშირებისა. და მართლაც ამ მხრივ კავკასიის კომუნისტურმა კავშირებმა სახელოვანი როლი ითამაშეს და ამით წინ წასწიეს კავკასიის მშრომელთა დაახლოვება.

ამიტომ დღეს საქართველოს კომუნისტური კავშირი სრულიად უერთდება ფედერაციას და სცნობს რა მას სავსებით მისაღებათ, მოუწოდებს ყველას ამ გზისაკენ, ამ მიზნის სისრულეში მოსაყვანათ. მაშ გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ფედერატიულ შეკავშირებას!

და გაუმარჯოს მის ბრწყინვალე შედეგებს.

დ. ცებერი.

სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება

არსებული პოლიტიკური-განმანათლებელი განყოფილება გადაკეთდა სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებად, ამ ცვლილებას დიდი მნიშვნელობა აქვს. არსებულ განყოფილების მიზანს შეადგენდა წარმოება კავშირში როგორც პოლიტიკური, აგრეთვე—კულტურული ხასიათის მუშაობის. ეს ნაბიჯი და ასეთი გეგმა ამ განყოფილებისა არ იყო უარყოფითი და დასაგმობი. არის მრავალი მაზრები, სადაც კულტურული მუშაობის წარმოება, პირველ რიგზე უნდა დავაყენოთ, ვინაიდან, როგორი სარგებლობა უნდა მოგვიტანოს ჩვენ პოლიტიკურმა გათვითცნობიერებამ, ან როგორ შეიძლება შეითვისონ ეს იქ სადაც კულტურული ცოდნა ძლიერ ძირს დგას, სადაც წერა-კითხვის უცოდინარნიც არიან. ამიტომ განსაკუთრებით ასეთ ადგილებში აუცილებლათ უნდა დაგვეყენებია პირველ რიგზე კულტურული მუშაობის წარმოება, და ამასთან შეთანხმებით, მისი გვერდით გვეწარმოებია აგრეთვე პოლიტიკური გათვითცნობიერება. მაგრამ აღსანიშნავია ის რომ ჩვენმა ასეთმა ცდამ ყველგან ვერ გამოიღო ერთნაირი ნაყოფი, ბევრმა კულტურული მუშაობის წარმოება მოაქცია კლუბის ერთ ნაწილში სადაც დრამატიული წრის და სასიმღერო წრეების შედგენას და მათ გაძლოლას ანდომებდენ უმთავრეს დროს. დრამატიული წრეები, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს მაზრებში სოკოებსავით გამრავლდა და დაკარგეს ყოველ გვარ მნიშვნელობა, როგორც იყო მაგალითად ლიტერატურულ წრის დაარსება და სხვას არავინ აქცევდა ყურადღებას. არ დარჩენილა არც ერთი რაიონი რადაც არ ყოფილიყო ერთიდან სამ დრამატიულ წრემდე. მაგრამ ახლდა განმანათლებელ განყოფილებას დიდი დადებითი შედეგები იმ მხრივ, რომ კულტურული მუშაობის წარმოება დიდათ საჭირო შეიქნა განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც კულტურული მდგომარეობის დონე საერთოდ ძლიერ ძირს დგას, ასეთ ადგილებში შეუძლებელია უარყოფა იმ დიდი შედეგების, რომელიც მოიტანა განმანათლებელმა მუშაობამ, და იქ ის მაინც და მაინც არ დამახინჯებულა და თუ მიიღო ისეთი სახე როგორზედაც ჩვენ ზევით გვქონდა ლაპარაკი მაინც და მაინც დიდი საზარალოც არ იყო. აღსანიშნავია ისიც რომ როგორც განმანათლებელი განყოფილების უსაჭიროეს მხარეებს არ ექცეოდა დიდი ყურადღება, ისე პოლიტიკური მხარეც ვერ განიცდიდა დიდ აყვავებას. ამ გვარად განყოფილებისთვის ორი უსაჭიროესი ფუნქციის დავალება და მათი სისწორით ცხოვრებაში გატარება ვერ შესძლო ჩვენმა სამაზრო პოლიტგანმანებმა. ამ მიზნით როგორც ვსთქვით აუცილებელი შეიქნა თუ მთლათ არა რამოდენიმეთ მაინც ჩამოშორება განმანათლებელი ფუნქციის და მისი გადაცემა სახელმწიფოებრივ ორგანოებზე, როგორიც არის სახალხო განათლება კომისარიატის ადგილობრივი ორგანოები, რომლებიც წმინდა განმანათლებელ მუშაობას ეწევიან. ეს ორგანოები დაეხმარება ჩვენ ამხანაგებს კლუბების მოწყობაში, რომელიც მთლათ მათი საქმეა და მისი კანონიერ ხელმძღვანელობაში განმანათლებელი ფუნქცია ნაწილობრივ რჩება დღევანდელ საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილების კომპეტენციაში და ეს განსაკუთრებით რესპუბლიკის იმ მხარეებისათვის, სადაც კულტურული დონე როგორც ხალხის ისე კავშირის მასის ძლიერ დაბლა დგას (მაგ. აჭარა. ბორჩალო, სამხრეთ ოსეთი, ახალციხე, ახალ-ქალაქი და სხვ.).

ამ ადგილებში ყველაზე მეტი საჭიროა როგორც ანბანურ უცოდინარობის მოსასპობათ მუშაობის წარმოება აგრეთვე საკლუბო მუშაობისთვის ყურადღების მიქცევა. რაში მდგომარეობს ეხლა საagitაციო-საპროპაგანდო განყოფილებათა მოვალეობა?

მთავარი მოვალეობა ამ განყოფილებისა მდგომარეობს მასში, რომ საჭიროა წარმოება როგორც კავშირის, აგრეთვე ახალ-გაზრდობის უპარტიოთა ფართე მასსაში აგიტაციპროპაგანდის, პოლიტიკური მუშაობის, პოლიტიკურათ განვითარებისათვის ხშირათ არა თუ მარტო ჩვენი კავშირის წინაშე, არამედ რაც მთავარია კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების წინაშე წამოიჭრება მრავალი საყურადღებო კითხვა, რომელიც მოითხოვს დაკვირვებულ და კანონიერ გადაჭრას. შეუძლებელია რაიმე კითხვა გადიჭრას ასე, თუ ის სათანადოთ, არ მომწიფებულა, თუ ის ყველასათვის ნათელი და გასაგები არ არის. ამიტომ სამაზრო, აგიტ-პროპები უნდა ცდილობდენ თვალყურის დევნებას ყოველივე ამისათვის ლა პარტიასთან შეთანხმებით, გაატარონ ყოველგვარი საagitაციო კომპანიები ისე როგორც ეს საჭიროა. თუ არის კითხვები რომლებიც ეხება მხოლოდ კავშირს, მაშინ ისინი თავისი ინიციატივით ამა თუ იმ მაზრაში აწარმოებენ მისთვის საჭირო მუშაობას.

მაგალითად დღეს როგორც კავშირის ცხოვრებაში, ისე მის ირგვლივ მრავალი მომწიფებულ კითხვებია: როგორიც არის კავშირის გაწმენდა და მისი ღირსებულად ჩატარება, კავშირში ორგანიზაციული მუშაობის გაფართოება, პარტიული და სახელმწიფოებრივი საკითხები, პარტიული ყრილობა, მისი მნიშვნელობა და მისთვის პარტიული მასსის მომზადება ფედერაცია, რომელიც ერთ-ერთ საჭირ-ბოროტო და საყურადღებო კითხვათ გადიქცა, ახსნა, განმარტება ყველგან, როგორც კავშირში ისე მის გარეთ, საბჭოების არჩევნების მნიშვნელობის.

საagitაციო განყოფილებებმა ყოველივე ამას დიდი ენერგიით უნდა მოეკიდოს და მით რაც მთავარია ასწიონ პოლიტიკური ცოდნა კავშირისა, რომლის საჭირო სიმაღლეზე დაყენება დღევანდელ პირობებში აუცილებელია.

20 ნოემბრის დღესასწაული პროვინციაში

დ. აბაშა.

მიუხედავათ იმისა, რომ ცუდმა ამინდმა ხელი შეუშალა კავშირის ზოგიერთ წევრთ შორეულ თემებიდან რაიონის ცენტრში მოსულიყვნენ, მაინც კავშირის დიადი დღესასწაული გრანდიოზულად იქნა ჩატარებული. ნაშუადღევს მწყობრათ დალაგებულ წევრების წინ მიდიოდა წითელი ურმები, სადაც მოწყობილი იყო ცოცხალი სურათი, მიჰქონდათ დროშები, უკან მუსიკა. მანიფესტაციის უკან მიდიოდნენ პარტიის წევრები და სხვა ხალხი. მანიფესტაცია გაჩერდა ადგ. თეატრის დარბაზთან სადაც გაიმართა მიტინგი. სიტყვა წარმოსთქვა მაზრკომის წევრმა, რაიპარტკომის მდივანმა და სხვა ამხანაგებმა, რომელთაც მხურვალე ტაშის ცემით აჯილდოვებდენ და მუსიკა ასრულებდა ინტერნაციონალს. მიტინგის დასასრულ იქნა ასეთი რეზოლიუცია: აბაშის რაიონული მიტინგი ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირისა, როგორც ერთად ერთ ინტერესების დამცველი მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობისა, რომელიც 3 ნახ. წლის განმავლობაში ებრძოდა იმპერიალისტების ლაქია და მუშათა კლასის მოღალატე მენშევიკურ მთავრობას, რომ მხოლოდ ის არის ახალგაზრდა მუშების და გლეხების ინტერესების დამცველი, ის არის კომუნისტურ საზოგადოების მშენებელი, მშრომელთა იმედი და მომავალი.

გაუმარჯოს ახალგაზრდათა კომუნისტურ ინტერნაციონალს!

რეზოლიუციის ერთხმად მიღების შემდეგ მანიფესტაცია ისევ ზეიმით გაემართა რაიკომის ბინისაკენ, სადაც დაიშალინ მხიარულად.

კავშირის დრამატიული წრის მიერ განზრახული უფასო წარმოდგენის დადგმა გადაიდვა მომავალ კვირისათვის უამინდობის გამო,

ასეთი ზეიმით ჩატარდა კავშირის პირველი დღესასწაული·

ჟან—ფავი.

ინსტრუქცია

ყველა სამაზრო კომიტეტების საagit-საპროპაგანდო განყოფილებებს მოწაფეთა შორის მუშაობის შესახებ

ამხანაგებო! პოლიტიკურ-განმანათლებელ განყოფილებების თათბირმა სექტემბერში მოწაფეთა შორის მუშაობის შესახებ დაადგინა, რომ სამოსწავლო დაწესებულებებში დაარსდეს იაჩეიკები და გაწეული იქნას ინტესიური მუშაობა მათ შორის. თათბირს დადგენილებებში მივვითითებენ კიდევ სხვა და სხვა ზომებზე, რომელიც უნდა მოხმარებულ იქნას მოსწავლეთა შორის მუშაობის დროს. მაგრამ დღეიდან იცვლება გეზი მუშაობის ამ დარგში.

დღეს ჩვენ განვიცდით ძალების დიდ ნაკლებობას ჩვენს ორგანიზაციებში სუსტდებიან ძალების უყოლობის გამო, ვერც ერთ ორგანიზაციაში ვერ ნახავთ საკმაო ძალებს. ეს აიხსნება მით, რომ ჩვენი მუშაობის გეზი დღემდი საფუძვლიანათ ყალბ ნიადაგზე იყო აგებული, ჩვენ ყურადღებას ნაკლებათ ვაქცევდით მოწაფეთა შორის მუშაობას.

დღეიდან ეს მიუტოვებელ შეცდომათ ჩაითვლება. პირველ რიგში უნდა დაისვას მათ შორის მუშაობის საკითხი, მაგრამ სასწავლებლებში მოწაფეთა შორის იაჩეიკების დაარსება ყოვლათ დაუშვებელია, მოსწავლე ახალგაზრდობა უნდა დანაწილდეს მუშათა იაჩეიკებში, ცალკე მოწაფეთა იაჩეიკების დაარსება იმ დროს, როდესაც მათ გვერდით არსებობს იაჩეიკები მუშების ან გლეხების, დაუშვებელია ერთ მხრივ იმიტომ, რომ ძალების ნაკლებობის გამო ეს არასასურველია მეორე მხრივ კი იმიტომ, რომ მოსწავლო ახალგაზრდობა ცალკე მუშაობით ეთიშება მუშათა ან გლეხთა წრეებს და ითვისებს განსაკუთრებით სახეს, რაც კომუნისტურ ორგანიზაციებში არ შეიძლება დაშვებულ იქნას. სასწავლებლებში უნდა დარსდეს ფრაქცია, რომელიც თავის იდეიურ ბრძოლით, გავლენას ახდენს სასწავლებლის საზოგადოებაზე, ამიტომ აუცილებელია გატარდეს შემდეგი ზომები მუშაობაში:

1. არ შეიძლება დაშვებული იქნას ცალკე მოწაფეთა ან მოსამსახურეთა იაჩეიკები, იმ ადგილებში სადაც არსებობს, მუშათა ან გლეხთა იაჩეიკები.

2. ყველა ინტელიგენტი კომუნისტი უნდა ჩარიცხულ იქნას მუშათა ან გლეხთა იაჩეიკებში, სადაც მათი ყოფნა ასწევს იაჩეიკის მუშაობის ინტენსიობას.

3. თუ არ არის მუშათა იაჩეიკა ან გლეხთა და იმავე დროს არის სასწავლებელი, მაშინ შეიძლება მოსწავლეთა იაჩეიკა დაარსდეს იქ.

4. მოსწავლენი ან დაწესებულებების მოსამსახურე ინტელიგენტები უნდა კისრულობდენ ხელმძღვანელობას იაჩეიკებისას და სრული პასუხისმგებელი უნდა იქნეს მთელი მათი მუშაობაში.

5. იაჩეიკის ნაცვლად უნდა მოეწყოს ფრაქცია, ანუ წრე კომუნისტების, რომლებიც, კომიტეტის ხელმძღვანელობით, აწარმოებდენ მეცადინეობას და გადიან განსაზღვრულ პროგრამას გამომუშავებულ ადგილობრივ ორგანოს მიერ.

6. ფრაქციის ან წრის მოვალეობას შეადგენს სასწავლებლის ყოველ მხრივ ცხოვრებაში მიიღოს მონაწილეობა ყოველ ნაბიჯის გადადგმაში თავის ბეჭედი დაასვას და ყველა კომუნისტი ამა თუ იმ სასწავლებელში მოსწავლე გამოდიოდეს შეკავშირებულათ.

7. მოსწავლეთა ფრაქცია უნდა ცდილობდეს თავის გავლენა გააძლიეროს, ის უნდა ღებულობდეს მონაწილეობას პედაგოგიურ საბჭოს მუშაობაში უნდა ყავდეს თავისი წარმომადგენელი იქ და ამით კანტროლს უნდა უწევდეს მთელი სასწავლებლების ცხოვრებას.

შენიშვნა: ამ შემთხვევაში საჭიროა მჭიდრო კავშირის დაჭერა სახალხო განათლების კომისარიატთან და მისგან დირექტივების მიღება.

8. ფრაქცია უნდა მუშაობდეს ადგილობრივ კომიტეტის კონტროლის ქვეშ. მთელ თავის მუშაობაში, ის უნდა ატარებდეს ფაქიზ ზნეობრივ, ხაზს და არ უნდა დაუშვას შემთხვევები უზნეო მოქმედების.

9. ფრაქციებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ სასწავლებლის სხვა და სხვა წრეების მუშაობაში, უნდა იყოლიონ გამგეობაში თავისი წარმომადგენლები.

10. ყველა მუხლები სასტიკი თვალყურის დევნებით უნდა გატარდეს ადგილობრივ ორგანოების მიერ დამკვრელი წესით.

ცეკას საag.-საპრ. განყოფ.

ქრონიკა

◆ 20 დეკემბრამდი იბეჭდება და გამოვა ჟურნალი „მომავალი“-ს № 2.

◆ სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში ამ მოკლე ხანში ამხ. შურა დუდუჩავა წაიკითხავს საჯარო ლექცის.

◆ 4 დეკემბრიდან იწყება მთელს საქართველოს მასშტაბში კავშირის გაწმენდა, რომლისთვისაც შედგენილია ცენტრალურ და სამაზრო გამწმენდ—გადამშინჯველი კომისიები.

ჩვენი ფოსტა

გ. სულორელს, თქვენი მეორე წერილი არ იბეჭდება.

მაგ. ხასიათის წერილი „ფურცელში“ ვერ გავა. სწერეთ უფრო შინაარსიანი წერილები და რაც შეიძლება ხშირათ მოგვაწოდეთ.

ტყიბულში ამხ. მდივნიშვილს გევალებათ მოგვაწოდოთ ცნობები ადგილობრივ კომკავშირის ცხოვრებიდან.

ა. კეკელიას. გამოგზავნეთ კორესპოდენციები.

განცხადება

დავკარგე მოწმობა, მოცემული სენაკის მაზ. სახედრო გაწ.—გადამდებ კომისიის მიერ სამხედრო ბეგრის მოხდის განთავისუფლების შესახებ (26 წლის შესრულებამდე ე. ი. 1925 წლამდე გაუქმებულათ ჩაითვალოს სპირიდონ ნ. ჯანაშია.

ტირაჟი 10,09 ნ. დ. ს. ც. საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სტამბა, კრუზენშტერნის ქ., № 5.